# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 19 ოქტომბერი. 2018 წ. №209 (8610) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# 2018 წლის 28 ოქტომბერი

## საქართველოს ყველა საღი გონების და ღირსეული მოქალაქის გამოცდაა!

## ამ არჩევნების შემდეგ ჩვენ ან წინ ვივლით, ანდა ისევ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდებით!



# სვანეთი ჩემთვის თავისუფლებას ნიშნავს

**ასე მიმართა დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა მესტიელ ამომრჩევლებს.**

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, საქართველოსთვის სვანეთი ძალიან ღირებულია.

**„რას ნიშნავს სვანეთი ჩემთვის? პირველ რიგში, თავისუფლებას. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა სვანმა ბრძანა: არც სხვისი სამართალი და არც უსამართლობა — ეს შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყნის მომავლის ლოზუნგი. მართლაც არ გვინდა, არც სხვისი სამართალი, ხელოვნურად თავს მოხვეული, არც უსამართლობა, რაც გამოვლილი გვაქვს და ვიცით, რას ნიშნავს იგი. ეს არის, რითაც თქვენ მოდიხართ და ამით მთლიანად საქართველოსთვის სვანეთი ძალიან ღირებულია. სვანეთი არის ჩვენი გამაგრებული საზღვარი. სვანეთი და თქვენ ხართ დამოუკიდებლობის მაგალითი, დამოუკიდებლობა არა რაღაც სხვანაირად გაგებული, არამედ დამოუკიდებლობა როგორც თვითმყოფადობა, მაგრამ ერთ საზღვრებს შორის“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, აუცილებელია მთავრობასთან თანამშრომლობა, რადგან ერთობლივად მიიღწევა ყველა ის შედეგი, რაც დღეს ქვეყანას სჭირდება.

**„არ შეიძლება, რომ პრეზიდენტი იყოს თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად კონფრონტაციაში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# ნაცებს „რევოლუციური“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!



**„ნაციონალურ მოძრაობას რევოლუციური სცენარი ჩაუვარდა. ჩვენი შიდა კვლევებით დასტურდება, რომ სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში იგებს“,** — ეს განცხადება პარტიის ცენტრალურ ოფისში გუშინ მამუკა მინარაძემ გააკეთა.

სოციოლოგიური კვლევის თანახმად ეგრეთ წოდებული ლოკაციის გარეშე, გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან, აქ შედიან ის ადამიანებიც, რომლებიც არ გეგმავენ არჩევნებში მონაწილეობას.

„საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ კვლევისას დადასტურდა შემდეგი მხარდაჭერა:

**სალომე ზურაბიშვილი — 27%, გრიგოლ ვაშაძე — 10%, დავით ბაქრაძე — 9%, სხვა კანდიდატები - 6%. არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას ან არ გადუწყვეტია ვის მისცემს ხმას - 48%.**

**ეგერთ წოდებული ალოკაციის მეთოდით, რომელიც გვიჩვენებს არჩევნების მოსალოდნელ შედეგს, დაფიქსირდა კანდიდატების მხარდაჭერის შემდეგი მონაცემები.**

**სალომე ზურაბიშვილი — 53%, გრიგოლ ვაშაძე — 19%, დავით ბაქრაძე — 17%, სხვა კანდიდატები — 11%,**

**გვინდა გამოვეხმაუროთ ნაცებს მიერ დაანონსებული აქციების გაუქმებას და მათ მიერ პროვოკაციებზე აგებულ საარჩევნო კამპანიას. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ენმ-ს სპექტაკლები წარუმატებლად მიმდინარეობს. მათ ყოველდღიურად უვარდებათ რევოლუციური სცენარები და ამიტომ აუქმებენ დაანონსებულ აქციებს“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.


# 100 წლის გაზეთი

## თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).


# „საქართველო ევროკავშირის წევრობისთვის მზად არ არის!“

**საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზე საუბრობს. კითხვაზე — არის თუ არა საქართველო ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზად, ევროკავშირის ელჩი ამბობს, რომ — არა.**



მისი თქმით, თუ რა იქნება მომავალში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ევროკავშირი მომდევნო წლებში.

**„რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირის წევრობას, თუ მეკითხებით, არის თუ არა დღეის მდგომარეობით საქართველო მზად ამისთვის, პასუხი იქნება — არა, არ არის მზად. მოგეხსენებათ, რომ ასოცირების ხელშეკრულება იძლევა ჩარჩოს, რათა საქართველო დაუახლოვდეს თავის მისწრაფებებს. ასოცირების ხელშეკრულება და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ზუსტად ამაზეა მიმართული, რომ საქართველო დაუახლოვდეს ევროკავშირს რეფორმების გატარებისა და სამუშაოს განხორციელების გზით. მოგეხსენებათ, დღეს ბრიუსელში სხვადასხვა მოსაზრებებია ევროკავშირის გაფართოებაზე. თუმცა, ერთ რამეში ერთსულოვნებაა — ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველა ინსტრუმენტი, რათა საქართველო ევროკავშირს დაუახლოვდეს. თუ რა იქნება მომავალში, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განვითარდება ევროკავშირი მომდევნო წლებში“,** — განაცხადა ჰარცელმა.

*თანამედროვე ფელეტონი*



# პრეზიდენტობისთვის გაგიჟებულ გრიგოლ ვაშაძეს!

ულვაშიანსა სელაპსა
ბევრი უწუნებს კაცობას;
მაგის ლაქლაქის სმენასა
სჯობს ყურში თითის
დაცობა!..

ვეფხია ჭინჭარაული,
ბარისახო

# აშშ-მა „აილენდის“ ტიპის ორი ხომალდი გადმოგვცა



**ღონისძიება, რომელიც ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე გაიმართა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნეს.**

გიორგი გახარიამ სანაპირო დაცვას შექმნიდან 20 წლის აღსანიშნავი თარიღი მიულოცა, სტრატეგიულ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა და ხომალდების პირად შუამდგომლობას წარმატება უსურვა.

**„დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვზეიმობთ 2 ღონისძიებას. დღეს სრულდება 20 წელი სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შექმნიდან და დღეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის მიერ გადმოეცემა საქართველოს „აილენდის“ კლასის 2 ხომალდი. მე მინდა პირველ რიგში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის პირად შემადგენლობას მივულოცო. ასევე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს მათი ღვაწლისთვის, რომელსაც ისინი ახორციელებენ ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის და განსაკუთრებით სანაპირო დაცვის მიმართულებით. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ თქვენი მხარდაჭერის გარეშე იქნება რთული საზღვაო უსაფრთხოების დაცვა. ასევე, მინდა ხაზგასმით ვთქვა შემდეგი — ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვულოცავთ ამ დღეს ხომალდების — „ოჩამჩირეს“ და „დიოსკურიას“ პირად შემადგენლობას. ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ, რომ დღეიდან თქვენ შეიტანოთ ღირსეული წვლილი საქართველოს და ნატოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში და ამ ქვეყნის თავისუფლების და ერთიანობის განმტკიცებაში“,** — განაცხადა გახარიამ.

# გიორგი ქობულია: ჩვენი ეკონომიკის წინსვლის ბერკეტი ექსპორტის განვითარებაა

**„საქართველოსთვის ვაჭრობა ყოველთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, ამიტომ ჩვენი ეკონომიკის წინსვლის ბერკეტი არის ექსპორტის და საექსპორტო ვაჭრობის განვითარება. ამ კონტექსტში ვაჭრობის ფინანსირების ინსტრუმენტების განვითარება და გამოყენება საქართველოში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი,“** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ, რომელმაც ოფიციალურად გახსნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ ორგანიზებული ვაჭრობის ფინანსირების ყოველწლიური მეშვიდე ფორუმი.



თავის მისალმებაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ვაჭრობის ფინანსირების მნიშვნელობაზე ვაჭრობის სექტორის განვითარების მიმართულებით და იმედი გამოთქვა, რომ თბილისში ასეთი მაღალი დონის ფორუმის გამართვა სასარგებლო იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესისთვის.

EBRD-ის ვაჭრობის ფინანსირების პროგრამა ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას ბანკის წევრ ქვეყნებში. პროგრამის მეშვეობით აღნიშნული ბანკი უზრუნველყოფს გარანტიებს საერთაშორისო დამმოწმებელი ბანკებისთვის, საკუთარ თავზე იღებს რა გადახდის პოლიტიკურ და კომერციულ რისკებს, რისი პასუხისმგებლობაც წევრი ქვეყნების ბანკებს ეკისრებათ.

**თბილისის ფორუმს 40 ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრება. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მსგავსი ფორუმები ჩატარდა ვენაში, მაინის ფრანკფურტში, ლონდონსა და სტამბოლში.**

# ილუზია და მისტიკა

**საზოგადოება ძალიან კარგად აფასებს ყველაფერს, თუ სად გადის ზღვარი რეალობასა და მისტიკას შორის,** — ასე ეხმაურება მირზა სუბელიანის მონაწილეობით გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებს პრემიერ-მინისტრი. მამუკა ბახტაძე ფიქრობს, რომ იმის დიდი ნაწილი, რასაც სუბელიანი საუბრობს და რა ფაქტებსაც ასახელებს, არის ილუზია.

**„პროკურატურამ გააკეთა განცხადება და ამ საკითხზე გამოძიება დაიწყო რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ჩანაწერები ვიხილეთ. ჩვენ გვაქვს საქმე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტების აღრევასთან. კონკრეტული მაგალითი მინდა გითხრათ. დღეს კახამ (კახიშვილი) გააკეთა განცხადებაც, რომ ფიზიკურად არ ჰქონია ამ ადამიანთან ინტერაქცია. შესაბამისად, ეს ადამიანი რას საუბრობს და რა ფაქტებს ასახელებს, დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ამ ყველაფერში არის ილუზია. მთავარი არის ის, რომ მსგავსი ფაქტებით, სამწუხაროდ, ცდილობენ, შემოიტანონ დისონანსი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცდილობენ გარკვეული მოლოდინი შექმნან, რომ არჩევნები ვერ ჩატარდება თავისუფალი და მშვიდობიანი გარემოს ფონზე. ნუ აქვთ ამის ილუზია. საზოგადოება ძალიან კარგად აფასებს ყველაფერს, თუ სად გადის ზღვარი რეალობასა და მისტიკას შორის. როგორც ჩანს, რეალობის მოდელირება, სამწუხაროდ, ჰობად იქცა გარკვეული ადამიანებისთვის“,** — განაცხადა ბახტაძე.

# ნონა გაფრინდაშვილი: ამ მთავრობას რა ვუთხარი, ნიკა გვარამიას და მაგნაირებს საერთოდ რომ ხმას აღებინებს...



**„მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბადრი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა! ყოველთვის იკეთებდა გამოკვლევებს და მას არც გული, არც არაფერი აწუხებდა...** — აცხადებს მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი და ეხმაურება მთავარი პროკურატურის განცხადებას, რომ პატარკაციშვილის ლიკვიდაციის დაგეგმვის საქმე გახსნეს.

**„ნიკა გვარამიამ საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა, რომ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევიაო“. ამ მთავრობას რა ვუთხარი, ნიკა გვარამიას და მაგნაირებს საერთოდ რომ ხმას აღებინებს... კანონმა თუ არ იკანონა და არ დაისაჯა ის, ვინც დასასჯელია, ყოველთვის ასეთი ვითარება გვექნება! საწყალი ეს ბიძინა ივანიშვილი რომ არ იყოს, საერთოდ რა ეშველებოდათ?! თვითონ რაღაცას გამოაქვეყნებენ და ის სწორია და თუ რამე არ მოეწონათ, მერე ყველა ყველაფერზე ბიძინა ივანიშვილისკენ იშვერს ხელს! არ ვიცი, რა ნერვები უძლებს, რეაქცია რომ არ აქვს ამათ გამოხდომებზე!“** — აცხადებს გაფრინდაშვილი.

**◎ ბაზარი ჩვენი მდგომარეობისა**

# გაუფასურებული ლარით და სეზონურობით გაზრდილი ფასები პროდუქტებზე

**„ყველაფერს მოუმატებენ ახლა, მთავარია, ლარი გაუფასურდეს დოლართან და ყველაფერს მოემატება ფასი. პურს მოემატა 5 თეთრი, ეს ერთი კვირაა“;**

**„გააჩნია ხორცს, მასზე არის სხვადასხვა ფასი — 15-16 ლარი საქონლის და ხბოსი 18-20 ლარზე ადის“;**

**„პომიდორი ახლა 2,5 ლარია, კიტრი 2ლარია და ფასი მომატებულია ლარით ამ ერთ კვირაში, ყვავილოვანი კომბოსტო 2,5 ლარი, ჭყინტი ლობიო 1,5 ღირს, 1 ლარი ღირდა“;**

**„ყველი 8,5 -9 ლარი ღირს. ასე დიდი ფასი ყველს არასდროს ქონია არც სეზონურად და არც ისე“;**

**„ყურძენი ილევა და მისი ფასი 2,5 ლარი გახდა, გულაბი მსხალიც ასევეა, მოემატა ფასი. აზერბაიჯანული ტკბილი ბროწეული 5 ლარამდე ღირს, ასევეა ლიმონიც, რადგან ჩვენი ჯერ შემოსული არ არის. ვაშლი შედარებით ბევრია და 1,5-ია მისი ფასი. მოილია ქლიავიც და გაძვირდა 3 ლარამდე“;**

**„ბურღულეული უნდა აიღო დიდი რაოდენობით, აქციით, რომ შემდეგ გაყიდო ნორმალურ ფასში. ზოგიერთმა კომპანიამ 5-10 თეთრით უკვე გააძვირა ფასები რძეზე, მაწონზე, არაჟანზე და სხვა პროდუქტებზე“.** — ბოლო პერიოდში გაძვირებული ეს პროდუქტები რადიო „თავისუფლებას“ დაუსახელეს ქუთაისის ცენტრალურ ბაზარსა და სასურსათო მაღაზიებში სხვადასხვა პროდუქციით მოვაჭრეებმა.

აგრარულ ბაზარში ამბობენ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასის ზრდას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, ხილისა და ბოსტნეულის სეზონურობა. მოვაჭრეების თქმით, წლის ამ პერიოდში საქართველოში მოსავალი ილევა, იმპორტირებული პროდუქტის ფასი კი უცხოური ვალუტის — ძირითადად, ამერიკული დოლარის — კურსით იანგარიშება და ლარის გაუფასურების ფონზე ძვირდება. სურსათზე ფასის მატებით უკმაყოფილონი არიან როგორც მყიდველები, ისე გამყიდველები.

**„მომხმარებელიც არ არის, ფასს იკითხავენ და გარბიან“;**

**„ბაზარში ისე კანტიკუნტად შემოდის მომხმარებელი, გაგიკვირდებათ“.**

რძის პროდუქტების, მათ შორის ყველის გაძვირებას გლეხები პირუტყვის საკვებზე ფასის გაზრდას უკავშირებენ.

რადიო „თავისუფლების“ მიერ გამოკითხულთა ნაწილი პროდუქტზე ფასის ზრდას საწვავის გაძვირებით ხსნის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, საწვავის გაძვირების გამო გაიზარდა მგზავრობის ღირებულებაც, მაგალითად, ქუთაისთან ახლომდებარე სოფელ ფარცხანაყანებამდე:

**„ბენზინია ძვირიო და გაგვიზარდეს მგზავრობის ფასი. ჩვენთან ერთი კვირაა 1,3 ლარი გახდა. ლარს ვიხდიდით. აქეთ რომ წამოვალ, უკანაც ხომ უნდა დავბრუნდე. ძვირია“.**

**„ბოლო ორი კვირის განმავლობაში 10 თეთრით მოიმატა. „პრემიუმის“ ხარისხის ბენზინს მოვიხმარ ჩემს ავტომობილში, რომელიც 2,5 ლარი ღირდა და 2,6 გახდა. მეორე წელია, რაც ავტომანქანა ვიყიდე და ამ დროის განმავლობაში 55 თეთრით გაძვირდა ბენზინის ფასი და მანქანის შენახვა უკვე ჭირს. დაახლოებით, 60-70 ლარით მეტი მჭირდება ბენზინისთვის ყოველთვიურად“.**

საწვავის გაძვირებას რამდენიმე მიზეზით ხსნის ეკონომისტი პაატა კლდიაშვილი. მისი თქმით, **ბოლო თვეებში ლარის სისტემატურმა გაუფასურებამ, სავარაუდოდ, უარყოფითი გავლენა მოახდინა იმპორტიორებზე და ამას დაემატა არასტაბილური გარეშე ფაქტორებიც. პაატა კლდიაშვილი სურსათის გაძვირებას იმით ხსნის, რომ დიდი ნაწილი იმპორტირებული და დოლარზე დამოკიდებულია. ეკონომისტისავე შეფასებით, ბოლო დღეებში ლარის გაუფასურება მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება, რადგან ამ პერიოდში არ დაფიქსირებულა არც ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი ან გარე ფაქტორი, რომელიც ლარის კურსის ვარდნას გამოიწვევდა. პაატა კლდიაშვილის განცხადებით, სიტუაციის დარეგულირებას სჭირდება პოლიტიკური პროცესების სტაბილურობა და სწორი ფისკალური პოლიტიკა:**

**„ლარის გაუფასურება, რასაც ადგილი აქვს ბოლო დღეების განმავლობაში ხდება, მთლიანად გამოწვეულია ქვეყანაში არსებული შიდა მდგომარეობით. უარყოფითი მოლოდინები უარყოფით გავლენას ახდენს ლარის კურსზე და იწვევს მის გაუფასურებას. წინასაარჩევნო პერიოდი ყველაზე დაძაბულ ფაზაშია შესული და ძირითადი ფაქტორი და ლარის გაუფასურების მთავარი გამომწვევი მიზეზია. თუ საზოგადოებას მოლოდინები ექნება დადებითი და არ ექნება არასტაბილურობის შეგრძნება, ეს დადებითად აისახება ლარის კურსზეც“.**

ეკონომისტი პაატა კლდიაშვილი ვარაუდობს, რომ, არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, არჩევნების წინა პერიოდში და არჩევნების შემდეგ ლარის გამყარება მოსალოდნელი არ არის, თუმცა ეროვნული ვალუტის კურსის ცვლა დამოკიდებული იქნება როგორც გარე ფაქტორებზე, ასევე ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაზე.

**თათა კაჭკაჭიშვილი**

# „ვაბშე იარაღს არ გამოვიყენებ, ისე დავბრიდავ სააკაშვილს“!

**„რუსთავი-2“ ახალ ჩანაწერებს ავრცელებს, სადაც სავარაუდოდ, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციაზე საუბრობს.**

სუბელიანი „ქართული ოცნების“ დეპუტატთან, ვიქტორ ჯაფარიძესთან დიალოგში ამბობს, რომ სააკაშვილის გასანეიტრალებლად სამთვიანი ვადა მისთვის საკმარისი იქნებოდა. სუბელიანი ასევე ახსენებს „ქართული ოცნების“ იმ მაღალჩინოსნებს, რომელთა მაკომპრომეტირებელი მასალები აქვს. ჩანაწერში სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძესა და პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის ნდობით აღჭურვილ პირს, დავით ცუხიშვილს ესაუბრება.

**მირზა სუბელიანი** – ეჰ, ეგრე არ არი. ამათ უნდათ, რომ ფიქრობენ, რომ მე ციხეში გავტყდები და იმ თემაზე წავალ, რასაც ეგენი მეუბნებიან. რატო არ წავიდე... ავიღებდი ორ მილიონს, ჩავიდებდი ჯიბეში და წავიდოდი პარიზში და დავალეწავდი თავ-ყბას ყველას და ღირსებიც იქნებოდნენ დღევანდელი გადმოსახედიდან. მაგრამ დღეს ამას ვერ ვიზამ, კაცური სიტყვა მაქვს ნათქვამი და ხელი მაქვს ჩამორთმეული და ჩემი სიტყვა არ დარღვეულა არასდროს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში და დღეს ამას არ ვიზამ, მაგრამ. რომ გამოვალ გარეთ, დავუჯდები, ძმაო, დაველაპარაკები და ვეტყვი, ძმაო, ამ ყველაფრის მერე ვინ ვარ, კიდევ „იზვოი“ ვარ? დამიფიქსირეთ! მტერი ვარ კიდევ თქვენი? რო ვიცოდე რა?... მერე პასუხისმგებელი ვიქნები ჩემს ქმედებებზე. ჩემი გადასაწყვეტია. არავისზე ნაკლები ორატორი არ ვარ, არავისზე ნაკლები ჭკუა არ მაქვს. არავისზე ნაკლები კომპრომატები არ მაქვს. ამას, რასაც მე მაბრალებდნენ მთელი ცხოვრება. ოთხი წლის განმავლობაში და კადრებში მაყურყუტებდნენ, მირზა არ გავწიოთ, ბევრი კომპრომატი აქვსო, ერთი კაცი მითხრან, ვისთანაც დამცდენია რამე.

**ცუხიშვილი** – აი, მაგას ვამბობ, წინ ვის დახვედრია?

**მირზა სუბელიანი** – ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით, აგერ „ომეგა ჯგუფისა“ და უჩას ჩანაწერების მსგავსად, არავის არაფერი არ დახვედრია. ერთადერთი ფაქტორი, ძმაო, რაც მაკავებდა, ეს სოზარის ფაქტორია, დღეს ეგ ფაქტორიც აღარ არსებობს. არ არსებობს იმ თვალსაზრისით, რომ მე მივალ და ამ კაცს ავუხსნი. ის თვითონ გულგატეხილია, ის ჩემზე მეტს ნერვიულობდა და ვეტყვი, რომ სოზარ, შენ ნუ გეწყინება, ძმაო, ჩვენი გზები გაიყრება. მე რასაც გავაკეთებ, მე ვიცი. დაირღვევა პირობა? მე ვიცი, შევხედავ, ძმაო, გვერდში ვჭირდები? გამიშვით, ვაბშე, მიშას დავბრიდავ. სამი ოთხი თვე მოვამზადებ და.. ვაბშე იარაღს არ გამოვიყენებ, ისე დავბრიდავ. რაღაცას გავუკეთებ. ორი ვარიანტია, ან უნდა დავბრიდო, ან უნდა შევეკრა და მაგასთან შეკვრა არ მინდა, ნამდვილად არ მხიბლავს მაგისი წინადადებები მე.




**მირზა სუბელიანი** – მე ვლაპარაკობ სისულელეებს? პარლამენტში რას გეუბნებიან, რატო ზისო?

**ვიქტორ ჯაფარიძე** – ეცოდები ვიღაცეებს.. შვილებს ვფიცავარ.

# მიშას ხელისბიჭი თავს იზღვევს



**„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ინფორმაციით, სუს-ი გამოსაქვეყნებლად მიხეილ სააკაშვილისა და მისი საუბრის ჩანაწერს ამზადებს.**

გვარამიას ინფორმაციით, ტელეკომპანიას ჰყავს წყარო, რომელზე დაყრდნობით მას აქვს ინფორმაცია, რომ საგამოძიებო უწყებები გეგმავენ, გაავრცელონ მასსა და საქართველოს მესამე პრეზიდენტს შორის კომუნიკაციის ფაბრიკაცია.

მისივე განცხადებით, ამავე წყაროს საშუალებით ჰქონდა ინფორმაცია „რუსთავი-2“-ს, რომ ვიქტორ ჯაფარიძე შევიდა ციხეში მირზა სუბელიანთან იმისთვის, რომ გაკეთებულიყო ჩანაწერი, რომელიც მოგვიანებით პროკურატურამ გაავრცელა.

**„მე 14-შივე დავწერე სტატუსი, რომ ვიქტორ ჯაფარიძე შევიდა ციხეში სწორედ იმიტომ, რომ ჩაწერილიყო ეს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ყალბი, ვითომ ფარული ჩანაწერი. ამაში უცნაური არაფერი არ არის. ჩვენ გვყავს წყაროები ყველგან და ეს წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას მყისიერად. შესაბამისად, ახლა ვიცით მაგალითად ინფორმაცია, რომ სუს-ი ამზადებს ჩემი და მიხეილ სააკაშვილის საუბრის ჩანაწერს გამოსაგდებად. რაღაც კომბინაცია სხვადასხვა საუბრების, იქ დამატებული ხმების და ა.შ. ამაზეც დიდი ხანია, ვსაუბრობთ. ეს საერთოდ არ მაინტერესებს. დიახ, მე ველაპარაკები მიხეილ სააკაშვილს.**

**დიახ, მე ველაპარაკები გიგი უგულავას. დიახ, მე ველაპარაკები შალვა ნათელაშვილს. დიახ, მე ველაპარაკებოდი პაატა ბურჭულაძეს, როცა ის პოლიტიკაში იყო, ირაკლი ალასანიას და ა.შ. მე ველაპარაკები ყველას, ვისთანაც მიმაჩნია რომ ეს საჭიროა. ველაპარაკები ღია ხაზზე. არაფერი დასამალი არ მაქვს. არავითარ დანაშაულს არ ვგეგმავ, მაქვს ჩემი პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები. მაქვს ჩემი ხედვა საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ნიკა გვარამია იმ ჩანაწერის შინაარსზეც საუბრობს, რომლის გამოქვეყნებას საგამოძიებო უწყებები გეგმავენ. მისი თქმით, საუბარი მასსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ეხება ზაზა სარალიძეს და იმ გეგმას თუ როგორ უნდა დაეხმარონ მას აქციების ორგანიზებაში.

# სუბელიანის განცხადებები მის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მეტყველებს



სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი კახა კახიშვილი მირზა სუბელიანის განცხადებებს მაღალჩინოსნების კომპრომატების შესახებ, მის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკავშირებს, რომელიც მისი თქმით, პატიმრობით არის გამოწვეული.

„რუსთავი-2“-ის გავრცელებულ ჩანაწერში, მირზა სუბელიანის ნათქვამზე, რომ კახა კახიშვილი სოზარ სუბარის წინააღმდეგ ლალი მოროშკინას დახმარებით მოქმედებდა, კახიშვილი ამბობს, რომ მას კომუნიკაციის საშუალება ისედაც ჰქონდა, რადგან მედიისთვის გახსნილი იყო.

**„რად მინდოდა მე რაღაცის დავალება, როდესაც 2013 წელს ვიყავი ექსპერტი და ჩემი გახსნილობა საზოგადოების მიმართ გახსოვთ და თუ რამეს ვფიქრობდი მაგის საშუალება მქონდა, რომ მედიასაშუალებებში ჩემი აზრი გამოქვეყნებულიყო. არალოგიკურია, რომ მე მაშინ, როდესაც გახლდით აქტიური, კომუნიკაბელური ექსპერტი და მედიასთან აქტიური კომუნიკაცია მქონდა, ლალი მოროშკინას მეშვეობით რაღაცის თქმა ნამდვილად არ დამჭირდებოდა“,** – განაცხადა კახიშვილმა.

# არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდება...



**ნიკა გვარამიას განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ის ამბობს, რომ მისი და სააკაშვილის ჩანაწერების გამოქვეყნებას აპირებს სუსი, გიორგი გახარიამ უპასუხა, რომ წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ჩანაწერებზე საუბრობს ნიკა გვარამია, თუმცა დეტალურად იცის ის გეგმები, რაც დესტაბილიზაციის და პროვოკაციის მომზადებას ეხება.** მისი განცხადებით, არჩევნები ჩატარდება მშვიდ და უსაფრთხო გარემოში და ამის გარანტიას იძლევა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**„წარმოდგენა არა მაქვს საერთოდ რა ჩანაწერებზე საუბრობს გვარამია, თუმცა დეტალურად ვიცი ყველა ის გეგმები, რაც იგეგმებოდა, დესტაბილიზაციის და პროვოკაციების მოსამზადებლად და გარწმუნებთ, რომ როგორც ნეიტრალური უწყება შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, ეს ყველაფერი გამოვლენილი გვაქვს, დეტალურ ყველა დონეზე ვიცით, ვინ, სად, როდის და რას გეგმავდა და რას გეგმავს და ამიტომ ეს იქნება შეუძლებელი და მინდა, აბსოლუტურად გულწრფელად გითხრათ, რომ ეს არჩევნები იქნება აბსოლუტურად მშვიდ და უსაფრთხო გარემოში და ამის გარანტიას იძლევა შინაგან საქმეთა სამინისტრო“,** – ასკვნის გიორგი გახარია.

# ბინძური მეთოდებით ერთმანეთთან დაპირისპირებას ბოლო უნდა მოეღოს!

**ამაზრზენ, გამრუდებულ რეალობაში გვაცხოვრებენ და ცდილობენ, დააბრუნონ ფარული ჩანაწერების მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც თავის დროზე ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ერთმანეთსაც პათოლოგიური ინტერესით უღებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს და ახლაც სურთ, ანალოგიურ დღის წესრიგში დააბრუნონ მოსახლეობა,** – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ „რუსთავი-2“-ის გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, მოქალაქეები ამით უკვე დაიღალნენ.



**„ვუსმენდი მოქალაქეების გამოკითხვას და ძალიან მენიშნა მათი რეაქციის, რომ დაიღალა ხალხი ამდენის მოსმენით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თითოეული ფაქტი არ უნდა იყოს გამოძიებული, ავთენტიკურობა დადგენილი, მაგრამ ამ დღის წესრიგით ცხოვრებას ალბათ არავინ აპირებს. მესმის, წინასაარჩევნო პერიოდია, მაგრამ ჩემი აზრით, ამ ბინძური მეთოდებით ერთმანეთთან დაპირისპირებას ბოლო უნდა მოეღოს“,** – განაცხადა დეპუტატმა აკაკი ზოიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

# სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები არიან და ჩანაწერებს ისევ ისინი აკეთებენ



ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, მას აქვს კონსტიტუციური უფლება, შევიდეს პატიმართან და არ არის ვალდებული, ეს ინფორმაცია სხვას გაანდოს.

**„ესენი გვამებს არიან მიჩვეული, გვამს ელოდებიან კიდევ, ამას ელოდებიან. მე მაქვს უფლება შევიდე პატიმართან, ის არის ჩემი ამომრჩეველი. მეორეც, მე არ ვარ ვალდებული, გავანდო ეს ინფორმაცია სხვას, გაკმაყოფილებთ პასუხი? კონსტიტუცია მაძლევს ამის უფლებას და ამათ ხომ ჩაწერეს, თვითონ წაიღონ პროკურატურაში, საგამოძიებო ორგანოებში და თვითონ გამოიძიონ, გამოიკვლიონ.**

**მე ვთვლი, რომ არასერიოზული, სტრესის ქვეშ მყოფი, აგონიაში მყოფი ადამიანის სიტყვები იყო ეგ და ჩავთვალე არასერიოზულად. ახლა მეუბნებიან, იყო თუ არა ეს ტყუილი, არასერიოზული და ტყუილი ერთი და იგივე არ არის?“,** – თქვა ჯაფარიძემ.

**რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დასრულებული და მიმდინარე სამუშაოების საკასო ათვისება 42,7 %-ს შეადგენს. ამის შესახებ „კომერსანტს“ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა არჩილ ჯაფარიძემ განუცხადა. გარდა ამისა, ჩამოთვლილ ნუსხაში დასახელებულია ის პრობლემური პროექტებიც, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო გაჭიანურდა.**

**როგორც არჩილ ჯაფარიძე აცხადებს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებით დაფინანსდა 40 საინვესტიციო პროექტი საერთო ღირებულებით 13 948 737 ლარი. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით, რეგიონის მასშტაბით დასრულდა და მიმდინარეობს 12 715 309 ლარის ღირებულების 31 საინვესტიციო პროექტი. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდით მიმდინარეობს და დაგეგმილია 1 267 732 ლარის 9 საინვესტიციო პროექტის განხორციელება. პროექტების მიღება-ჩაბარების პროცესი კვლავაც მიმდინარეობს. კერძოდ:**




## ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებით დაფინანსდა 15 საინვესტიციო პროექტი – საერთო ღირებულებით 5 722 344 ლარი. მათ შორის: **დასრულდა 5 პროექტი** – სოფელ სადმელში ბეტონისსაფარიანი გზის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები, სოფ. ხიმშის ასფალტო-ბეტონისსაფარიანი გზების მოწყობის სამუშაოები, სოფ. ურავის წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ჭრებალოში სპორტკომპლექსის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები, მდ. კრიხულაზე დამცავი ჯებირების მოწყობის (პირველი ეტაპის) სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს მდინარის სანაპირო ზოლის შემდგომ განვითარებას; **მიმდინარეობს სამუშაოები 9 პროექტზე,** მათ შორის: – ამბროლაურში საერთაშორისო სტანდარტების, ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მეორე რიგის სამუშაოები, რომელიც გათვლილია 500 მაყურებელზე; მუნიციპალიტეტის სოფლებში (კაჩაეთი, ჭყვიში- ქვიშარი, ლიხეთი, ზედა ბუგეული და აბანოეთი) წყალსადენების მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. ამბროლაურის ქუჩების ასფალტო-ბეტონის და ბეტონის, ქ. ამბროლაურში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; **დასრულდა ტენდერი ერთ პროექტზე** – ამბროლაურში მდებარე საცურაო აუზის ეზოს კეთილმოწყობა და ვენტილაცია-კონდიციების სისტემების მონტაჟი (ტენდერი ერთხელ ჩავარდა და გამოცხადდა განმეორებით); **პრობლემურ პროექტებს** წარმოადგენს 3 პროექტი – ქ. ამბროლაურის ქუჩების ასფალტო-ბეტონის და ბეტონის გზების მოწყობის სამუშაოები. პროექტი გამოცხადებულია 2 ლოტად. შემსრულებელია შპს „მიმდემი“ და პროექტის საერთო ღირებულებაა 691 822 ლარი. როგორც ჯაფარიძე აცხადებს, სამუშაოები მიმდინარეობს უხარისხოდ და დაბალი ტემპით. ამის გამო განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები; ასევე პრობლემურ პროექტს წარმოადგენს სოფ.ლიხეთის წყალმომარაგების ქსელის საფილტრის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც შპს „ბაბი“ ახორციელებს. სახელშეკრულებო ღირებულება 152 981 ლარია. დღესდღეობით სამუშაოები მიმდინარეობს აქტიურად, მაგრამ ვადაგადაცილების გამო ობიექტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები განხორციელდება.

## ონის მუნიციპალიტეტი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებით 7 საინვესტიციო პროექტი, საერთო ღირებულებით 3 122 904 ლარი დაფინანსდა. **დასრულდა ერთი პროექტი** – სოფელ ღარის ასფალტო-ბეტონის შიდა სასოფლო გზის პირველი რიგის სამუშაოები; **მიმდინარეობს სამუშაოები 3 პროექტზე** – სოფ. ბარი-მრავალძალის გზის ასფალტირების მეორე რიგის სამუშაოები (მოეწყობა 4კმ ასფალტო-ბეტონის გზა); სოფელ ფარახეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ონის მუნიციპალიტეტში სოფ. უწერაში და სოფ ჭალაში მინერალური წყლების კეთილმოწყობა; **ტენდერი დასრულდა 2 ობიექტზე** – სოფ. ბარი-მრავალძალის გზის ასფალტირების მესამე რიგის სამუშაოებზე და სოფელ შარდომეთში მდ. რიონზე კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობაზე; მიმდინარეობს შერჩევა შეფასების პროცედურები; **პრობლემურ პროექტებს** წარმოადგენს **2 პროექტი** – უარყოფითი შედეგით დასრულდა ერთი ტენდერი – სოფელ ირში მდინარე ჯეჯორაზე გადასასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. მუნიციპალიტეტის განმარტებით, ტენდერის ჩავარდნის მიზეზს წარმოადგენს სოფ. ირში ხიდამდე მისასვლელი გზა, რომელიც გამოსულია მწყობრიდან და საჭიროებს გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ამიტომ მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილი აქვს მოთხოვნა აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაფინანსებაზე.

**ასევე პრობლემურია** სოფ. ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირების მეორე რიგის სამუშაოები, რომელიც დაბალი ტემპით მიმდინარეობს. ვადაგადაცილების გამო ობიექტზე განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

## ლენტეხის მუნიციპალიტეტი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებით 9 საინვესტიციო პროექტი დაფინანსდა საერთო ღირებულებით 1 631 749 ლარი; **დასრულდა 3 პროექტი** – დაბის ქუჩების კეთილმოწყობის და ქუჩების ასფალტირების სამუშაოები; სტადიონების მშენებლობის მეორე რიგის სამუშაოები; ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია; **მიმდინარეობს სამუშაოები 2 პროექტზე** – დაბა ლენტეხში ამაღლების ეკლესიამდე მისასვლელი ხელოვნური ბილიკის მოწყობა და სოფ. ხელედში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ტენდერი დასრულდა** და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურები 2 პროექტზე – დაბის კეთილმოწყობა (ბორდიურები, ტროტუარები, გარე განათება, ცენტრალური მოედნის კეთილმოწყობა) და სოფელ გვიმბრალაში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია; (პროექტები გახდება გარდამავალი; **მიმდინარეობს ტენდერი ერთ პროექტზე** – ლესემის საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე; **უარყოფითი შედეგით დასრულდა** 1 ტენდერი სოფელ ნანარის საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

## ცაგერის მუნიციპალიტეტი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებით დაფინანსდა 9 საინვესტიციო პროექტი საერთო ღირებულებით 3 471 740 ლარი; **დასრულდა 4 პროექტი** – ცაგერის მუნიციპალიტეტში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები; ცაგერში უმწეოთა სასადილოს (სარგებლობს 110 ბენეფიციარი) სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქუჩების ასფალტირება, დასრულდა სამუშაოები და მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურა სოფ. ჩხუტელში ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობიდან გვირაბამდე მოასფალტების სამუშაოებზე; **მიმდინარეობს სამუშაოები 3 პროექტზე** ცაგერში №2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები (72 აღსაზრდელი); ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობა; ქვედა ცაგერში ახალდასახლების უბანში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; **დასრულდა ტენდერი** და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურა **2 პროექტზე** – სოფ. ლაჯანის საბავშვო ბაღის მშენებლობა და ქ.ცაგერის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები.

* * *

**საქართველოს მთავრობის განკარგულებებით (№1468 01.08.2018 წ., №1622 18.08.2018 წ.) რეგიონისათვის გამოყოფილი იქნა 3 000 000 ლარი 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე, კერძოდ: ონის, ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებისთვის – თითო მილიონი ლარი.**

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით** ხორციელდება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლების ნიკორწმინდის, ჭრებალოს, წესის, შაორის მიმდებარე ტერიტორიების, უწერის, მრავალძლის და კურორტ შოვის, ასევე სხვა ტურისტულად მიმზიდველი ადგილების სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შედგენა, რომელთა მიზანია აღნიშნული ტერიტორიების კეთილმოწყობისა და მათი განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება IV ეტაპად, დღეის მდგომარეობით სამუშაოები დასრულების პროცესშია (ზონირება და წესები. განაშენიანების რეგულირების გეგმები (გ.რ.გ), დოკუმენტების შემუშავების სახელშეკრულებო ღირებულებაა 932 200 ლარი.

**როგორც ა. ჯაფარიძე განმარტავს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით რეგიონში მიმდინარეობს:** ზემო იმერეთი (საჩხერე) – რაჭის დამაკავშირებელი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, 55კმ-იანი გზის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით. დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს საჩხერე-ქვემო ხევის 5,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 7 926 930 ლარს შეადგენს. პარალელურად მიმდინარეობს ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-კვაშხიეთის გზის მონაკვეთის სამშენებლო-სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადება, რომელზეც სახელშეკრულებო პროცედურები 2018 წლის ბოლოს დასრულდება; ალპანა-ჭრებალოს გზის მონაკვეთის მშენებლობა. სახელშეკრულებო ღირებულებით 10 142 652ლარი, სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წელს; **დასრულდა** ამბროლაურში მდ.რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 1 791 000 ლარი; **მიმდინარეობს** საგლოლო-ჭიორა ღების საავტომობილო გზის კმ1-კმ12 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 7 171040 ლარი, სამუშაოები დასრულდება 03.11.2018-ში; ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ.100-კმ.112 სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 9 436 836 ლარი, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება; ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ113-125 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 10 282 363 ლარი, **დასრულდება** 31.01.2019-ში; **დასრულდა** ლენტეხი-ლასდილის საავტომობილლო გზის კმ 117 მონაკვეთზე, მდინარე ცხენისწყალზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის სამუშაოები, ღირებულებით 2 945 990 ლარი, **დასრულდება** 31.08.2018-ში; **დასრულდა** ცაგერის მუნიციპალიტეტში კმ 12 მონაკვეთზე სოფ ორბელში დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, ღირებულებით 1 457 528 ლარი; **აქტიურად მიმდინარეობს** შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ჭრებალო-ნიკორწმინდის კმ 0-კმ25,8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 0-13,6 კმ-ზე სამუშაოებს ასრულებს შპს „საქმილსადენმშენი“, ხოლო 13,6-25,8 კმ-ზე სამუშაოებს ასრულებს შპს „ორიენტირი“. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 18 494 396 ლარს; **დაგეგმილია** ლენტეხი-მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობის სამუშაოების განხორციელება, რაზეც მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 4 688 848ლარი. პროექტირება **დასრულდება** 14.12.2018-ში; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები მიმდინარეობს ლენტეხი-ლასდილის კმ126-კმ157 გზის (32კმ) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 1 971 898 ლარი, დასრულდება 31.10.2018-ში; სხვადასხვა სამუშაოებზე (გზების მოვლა-შენახვა, ნაპირდამცავი ღონისძიებები, მიწის ვაკისების გამორეცხვის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და სხვა) საერთო ღირებულებით 28 639 439 ლარი მიმდინარეობს სამუშაოები.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის** მიერ რაჭის რეგიონში 2018 წელს, რეგიონის მასშტაბით, განხორციელდება 94 075 500 ლარის 25 სამშენებლო და საპროექტო სამუშაოები, ხოლო 2018 -2019 წლებში, დღევანდელი მონაცემებით, განხორციელდება 214 751 808 ლარის სამუშაოები.

**მუნიციპალური განვითარების ფონდის** მიერ გაფორმდა ხელშეკრულება სოფ. ნიკორწმინდაში, ნიკორწმინდის ტაძრის მიმდებარე ინფრასტრუქტურის და მათ შორის აღნიშნულ ძეგლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე. შემსრულებელია შპს „ორნამენტი“, სახელშეკრულებო ღირებულებით 2 004 780 ლარი, **დასრულდება** 30.11.2018-ში; **დასრულებულია** ცაგერის მუნიციპალიტეტში, ხვამლის მთის ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან მისასვლელი 18-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ღირებულებით 190 000 ლარი; **დასრულდა** ცაგერის მუნიციპალიტეტისა და მიმდებარე 16 სოფლის ქულბაქის წყაროებიდან წყალმომარაგების არსებული პროექტის კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები, ღირებულებით 89 680 ლარი; **დასრულდა** ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფელ ოყურეშის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები, ღირებულებით 60 000 ლარი. **შპს საქაერონავიგაციის** დაფინანსებით განხორციელდა საოფისე შენობის მშენებლობა, სახელშეკრულებო ღირებულებით 2 536 955 ლარი. **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით,** მიმდინარეობს სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები ღირებულებით 946 376 ლარი.

**სოფო ქსოვრელი**

# ყოველთვის ღირსებით აღსავსე და მართალი



## აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი – 90

**ღვაწლმოსილ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს 90 წელი შეუსრულდა. კოლეგები და მეგობრები გულითადად ვულოცავთ ბატონ დავითს საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელ და შემოქმედებით აღსავსე ცხოვრებას ვუსურვებთ.**

დავით მუსხელიშვილი დაიბადა თბილისში 1928 წლის 19 ოქტომბერს, ქართულ სიძველეთა შესანიშნავი მკვლევრის ლევან მუსხელიშვილისა და ელენე ხუნდაძის ოჯახში. ის სიყრმიდან ეზიარა საქართველოს სიყვარულს და საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1947 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1952 წელს დავით მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში შევიდა. მისი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა სწორედ ამ ინსტიტუტს დაუკავშირდა: 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ციხე-ქალაქი უჯარმა“, 1956-1960 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი, ხოლო 1960 წლიდან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“; 1967 წლიდან, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, ამავე ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა; პარალელურად, 1972 წლიდან 1982 წლამდე მიწვეული იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროს სამეცნიერო რედაქტორად. 1999 წელს დავით მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს; ინსტიტუტს სათავეში ის 2006 წლამდე ედგა.

1993 წლიდან დავით მუსხელიშვილი საქართველოს უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრია. იგი არის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის თავმჯდომარე. ბატონი დავითი რამდენიმე საზოგადოებრივ, არასამთავრობო სამეცნიერო დაწესებულებას ხელმძღვანელობს: იგი გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე.

დავით მუსხელიშვილის სამეცნიერო ღვაწლი სახელმწიფომ და აკადემიურმა საზოგადოებამ ღირსების ორდენითა (1998 წ.) და ივანე ჯავახიშვილის მედლით (2003 წ.) დააფასა. 2008 და 2011 წლებში მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილისა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობითი პრემიები ნაშრომებისთვის „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (თბ., 2003 წ.) და „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში. ქართული ისტორიული ტოპონიმების კორპუსი“ (თბ., 2010 წ.). 2013 წლის 10 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის დავით მუსხელიშვილს გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი.

დავით მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ქართული საისტორიო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან ღირსეულად გააგრძელა სახელოვანი მამის ლევან მუსხელიშვილის და მასწავლებლის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო ტრადიციები და საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

დავით მუსხელიშვილი 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ქართული საისტორიო მეცნიერების ძირითად ფონდში სამუდამოდ დარჩება მისი მონოგრაფიები, ნარკვევები და სტატიები: „ციხე-ქალაქი უჯარმა“ (თბ., 1966), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, I-II (თბ., 1977-1980), „Из исторической географии Восточной Грузии“ (Тб., 1982), „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის“ (კრებ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993), „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები“ (ჟურნ. ანალები, № 1, 2001), „საქართველო IV-VIII საუკუნეებში“ (თბ., 2003), „ქართველთა წარმომავლობისათვის“ (თბ., 2010) და მრავალი სხვა. დავით მუსხელიშვილის სამეცნიერო ინტერესები მეტად ფართოა: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია, ქართველთა ეთნოგენეზი და ქართველთა თვითშეგნება, უძველესი ხანის გორანამოსახლარები და ხევები, ფეოდალური – საციხისთავო და საქალაქო – ქვეყნები, ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაცია, ცხვრის გზები და საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები, დემოგრაფიული და სოციალური პროცესები, მთისა და ბარის ურთიერთობა, უძველეს ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა თუ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის საფუძვლები, საქართველოს კავკასიური მონარქიის ხასიათი, საქართველოს როლი კავკასიაში და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები მეზობლებთან, სახელმწიფო და ეკლესია, თბილისის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში, არქეოლოგიური თუ წყაროთმცოდნეობითი პრობლემატიკა და სხვა. ასეთია არასრული ჩამონათვალი საკითხებისა, ქართველი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს რომ ეხება ენეოლითის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. წერილობითი, ნივთიერი და ლინგვისტური წყაროების შესანიშნავი ცოდნა და მოვლენათა ვირტუალური სივრცული ანალიზი მკვლევარს საშუალებას აძლევდა, ახლებურად გაეაზრებინა საქართველოს ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი.

დავით მუსხელიშვილის კვლევების ძირითადი სფერო ისტორიული გეოგრაფიაა. საქართველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების (კახეთ-ჰერეთის, ქვემო ქართლის, აფხაზეთის) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური გეოგრაფიის დაწვრილებითმა შესწავლამ მას საშუალება მისცა, წარმოეჩინა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პროცესი, მისი შინაგანი სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ისტორიული ევოლუცია; განესაზღვრა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითადი ეტაპები და დაედგინა ტერიტორიული ევოლუციის კანონზომიერებანი. მიღებული დასკვნები მეთოდოლოგიური ხასიათისაა და სახელმძღვანელო პრინციპებადაა ქცეული ისტორიული გეოგრაფიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

დავით მუსხელიშვილის კონცეფცია სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დავით მუსხელიშვილმა გააანალიზა ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება საქართველოში, მონოგრაფიულად შეისწავლა და შეაფასა ცნობილი ქართველი ისტორიკოსების – ე. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის ღვაწლი ამ დარგის განვითარებაში.

საეტაპო მოვლენად იქცა დ. მუსხელიშვილის რედაქციითა და თანაავტორობით მომზადებული „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (თბ., 2003 წ., მეორე, შევსებული გამოცემა განხორციელდა 2016 წ.). 74 რუკისგან და განმარტებითი ტექსტებისგან შემდგარი ატლასი დოკუმენტირებული პუბლიკაციაა: სათანადო არგუმენტაციით, პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიის პოლიტიკური ცვლილებების პროცესი უძველესი პერიოდიდან დღევანდლამდე. მომზადდა ატლასის ინგლისური ვერსია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემატიკის სწორ გააზრებას უცხოეთში. „საქართველოს ისტორიის ატლასს“ მეცნიერულთან ერთად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება.

დავით მუსხელიშვილი მტკიცედ დგას ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. ისტორიული ცოდნით აღჭურვილი, ის ღირსეულ პასუხს სცემს საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს და მათ სამსახურში მდგარ იდეოლოგებს, ფსევდოექსპერტებსა და ისტორიკოს-ფალსიფიკატორებს. მისი რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოცემული კრებულების – „საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი რუსულ ისტორიოგრაფიაში“ (თბ., 2009), „შიდა ქართლის ოსთა ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 2010), „ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში“ (თბ., 2011) – წინასიტყვაობები, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტებისადმი მიძღვნილი წერილები, პასუხები ვ. აბაევს, ა. სახაროვს თუ ვ. პუტინს (ეს უკანასკნელი მარიამ ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით დაიწერა), ყოველთვის ღირსებით აღსავსე, მართალი და უკომპრომისოა. დავით მუსხელიშვილის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის, აქტიური პოზიცია გადმოცემულია საგაზეთო წერილებში, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება – ხელისუფლების პრობლემებს, ინტელიგენციის როლს, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას, „რეფორმებს“ განათლებისა და მეცნიერების დარგში და სხვ.

**სამეცნიერო ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე დავით მუსხელიშვილი მართალი სიტყვით უანგაროდ ემსახურა თავის ხალხს და ქვეყანას. 90 წლის საიუბილეო თარიღს ის ვალმოხდილი და წელგამართული ხვდება, თანამედროვე მამულეთ კი ომახიანად შეახსენებს წინაპართაგან თქმულს: „ნათესავნი ჩუენ ქართველთანი ვართ მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი“.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა 18-21 ოქტომბერს დაგეგმილ ღონისძიებასთან კავშირს არ ადასტურებს

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ეხმაურება მედიაში გავრცელებულ წერილს, რომლის მიხედვითაც თითქოს გაერთიანება ბიზნეს-სექტორს იწვევს ღონისძიებაზე: „საქართველო-ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“, რომელიც თბილისში 18-დან 21 ოქტომბრის ჩათვლით იმართება.**

**„გვინდა დავაფიქსიროთ, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია აღნიშნული ღონისძიების გამართვაში, არ ჩართულა საორგანიზაციო ნაწილში და ფორუმის შესახებ ბიზნეს-სუბიექტებში ინფორმაციაც კი არ გაუვრცელებია. წერილში აღნიშნული ინფორმაცია პალატის ჩართულობის შესახებ არის აბსოლუტურად მცდარი. ასევე მცდარია ინფორმაცია პალატის საბჭოს წევრის - საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის ჩართულობის შესახებაც.**

**იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ბიზნეს-წრეების თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან, მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებულ ღონისძიებაში ჩვენი პალატა არანაირი მეთოდით ჩართული არ ყოფილა, რადგან არ ვეთანხმებით აღნიშნულ ფორმატს.**

**მივმართავთ ღონისძიების ორგანიზატორებს, აღმოფხვრან აღნიშნული უზუსტობა“, – აცხადებენ სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.**

# ზურაბიშვილი ამბობს სიმართლეს...



**საპრეზიდენტო კამპანია კულმინაციურ ფაზაშია. პრეზიდენტობისთვის მებრძოლთაგან მხოლოდ კვარტეტია გამორჩეული — ზურაბიშვილი, ვაშაძე, ბაქრაძე, უსუფაშვილი... დანარჩენთა ხმა არ ისმის, არადა, ამათ გარდა კიდევ 20-ზე მეტია!**

საპრეზიდენტო კანდიდატები ამომრჩევლებს უხვი დაპირებებით კვებავს, თანაც ისეთით, პრეზიდენტის კომპეტენციაში რომ არ შედის. ქართულმა პოლიტიკამ ისე გაწვრთნა მოსახლეობა, რომ დაპირებას აღარაფრად აგდებს და მის ნაცვლად სადღეისოდ ნაბოძებ „სიკეთეებს" (ფულის ან პროდუქტების სახით) ყაბულდება.

საპრეზიდენტო კანდიდატები ერთმანეთის კრიტიკას თავს არიდებენ, მაგრამ მათი მხარდამჭერები ამგვარი თავშეკავებულობით სულაც არ გამოირჩევიან. ისინი ერთმანეთსაც ესხმიან თავს და პრეზიდენტობის კანდიდატებსაც.

ბრძოლის ველი ისევ ტელეკომპანიები — განსაკუთრებით „TV პირველი" და მისი თოქ-შოუებია. სტუდიაში მოპაექრე დაპირისპირებული მხარეები ლამის მუშტით გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს! მათ გასაგონად ვიტყვი — ისეთი დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები გიკავიათ, შეთანხმება შეუძლებელია, რაც მაყურებელმაც იცის და თქვენგან მარტო იმას ელის, სეირი რომ ჰქვია. მაინც რა დონემდე უნდა მიიყვანო ტელემაყურებელი, თოქ-შოუს მართლა შოუსავით ან ცირკივით უყუროს?

არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებია დარჩენილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, კანდიდატები, ნაცვლად წარსულისა, სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკებენ.

აღნიშნული კვარტეტიდან გამოირჩევა სალომე ზურაბიშვილი, რომლის ნათქვამი, წაჩურჩულებაც კი უზომო რეზონანსს იწვევს ოპოზიციონერებს შორის, რომლებიც უხამს სიტყვებსაც არ იშურებენ „ქართული ოცნების" რჩეულის ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატის „შესამკობად".

საპრეზიდენტო მარათონის დაწყებამდე ერთ-ერთ წერილში ვთქვი, რომ ზურაბიშვილი იქნებოდა „ოცნების" კანდიდატი, უფრო მეტიც, ის გაიმარჯვებდა არჩევნებში.

ჩემი წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი გამართლდა. იგივე იქნება მეორესთან დაკავშირებითაც! მაშინ „ოცნების" პარლამენტარები უმტკიცებდნენ ხალხს, რომ პარტია თავის კანდიდატს დაასახელებდა და მას სხვისგან სასესხებელი არაფერი სჭირდა.

ვერ გეტყვით, იყო თუ არა „ოცნების" მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები (საკუთარ კანდიდატთან დაკავშირებით) შოუ? თუ ამას ჰქონდა ადგილი — შეცდომა იყო. უმჯობესი იქნებოდა. თავიდანვე ეთქვათ სალომე ზურაბიშვილზე და არა ლობე-ყორეს მოდებოდნენ.

ზურაბიშვილი გახდა ის სამიზნე, რომელსაც ოპოზიცია გულდაგულ ტყვიას ტყვიაზე უშენს. მიუხედავად ამისა, კანდიდატი მეტ-ნაკლებად იგერიებს შეტევას და ამ სიტყვიერ პიარში ახალ საკენკს უყრის ოპოზიციას...

ზურაბიშვილს უწუნებენ ქართულს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან საფრანგეთში დაბადებულის, გაზრდილის და განათლებამიღებული ადამიანისთვის ძნელია აქ დაბადებულ-გაზრდილივით ილაპარაკოს ქართულად. აშკარაა, რომ ლაპარაკისას ის ფრანგულად აზროვნებს და ოდნავი შეყოვნების შემდეგ ქართულად გადმოგვცემს სათქმელს, ხშირად უცხოური სიტყვებსაც იშველიებს.

ამაში გასაკვირი არაფერია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც აქაური პოლიტიკოს-პოლიტოლოგები და ჟურნალისტები ისე ხშირად იყენებენ ინგლისურ სიტყვებს, გეგონებათ, მათი მშობლები, ან თვითონ, ვაშინგტონში ან ლონდონში იყვნენ დაბადებულები. რატომღაც მოდადაა ქცეული ინგლისური სიტყვების რახარუხი, მაშინ, როდესაც მათი ქართული შესატყვისი უხვად გვაქვს.

ზურაბიშვილს, გარდა ენისა, სხვასაც უწუნებენ, ანუ გამონათქვამებს... ძირითადად წინა ხელისუფალთა დანაშაულებრივი მოქმედებებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი და მთავარი არის 2008 წლის ომის გაჩაღება. ზურაბიშვილმა სააკაშვილის მიერ ცხინვალის ომის დაწყების თაობაზე უმალ თქვა და თქვა მაშინ, როდესაც სხვა ხმას არ იღებდა, პირიქით — ომის გამჩაღებელ დამნაშავეს უმღერდა და გუნდრუკს უკმევდა.

დიახ! ომი სააკაშვილმა დაიწყო, დაბომბა რა მძინარე ცხინვალი. „როგორო, მძინარე ცხინვალი როგორ დაბომბაო" — ყეფენ ოპოზიციონერები. მათ გასაგონად ვიტყვი: რა, ღამის თორმეტ საათზე ცხინვალელები კაზინოებში ერთობოდნენ თუ ძილს იყვნენ მიცემულნი?

არის თუ არა ზურაბიშვილი ორიგინალური, როდესაც ამბობს, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ?

ნამდვილად არა! საერთაშორისო კომისიამ, ტალიავინის ხელმძღვანელობით, დაადგინა ყოველივე, რომელიც გაზიარებულ იქნა ევროსაბჭოს, გაეროს და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერაც (იხილეთ ევროსაბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ სააკაშვილის წარმომადგენლებიც, რომლებიც დღეს ზურაბიშვილს ადანაშაულებენ „ღალატში".)

**რჩევისთვის: როდესაც ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ საერთაშორისო დოკუმენტს, შემუშავებულს ევროპის ცნობილი დიპლომატებისა და ექსპერტების მიერ, ამით უნდობლობას ვუცხადებთ იმ ინსტიტუტებს, საითკენაც თავქუდმოგლეჯილი მივექანებით.**

ზურაბიშვილს უწუნებენ სხვა გამონათქვამსაც. მაგალითად, დაახლოებით ასეთს, რომ ვერ იოცნებებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე, ვინაიდან ის იცნობს ამ ორგანიზაციებს. რა არის ამაში ასაღელვებელი ან მოღალატური?

**ზურაბიშვილმა თქვა სიმართლე, ვინაიდან თითქმის წარმოუდგენელია საქართველოს ხილვა ნატოში ან ევროკავშირში. ამასაც რომ ჰქონდეს ადგილი, მაშინ საქართველო უდავოდ დაკარგავს იმ თავისუფლებას და სუვერენიტეტს, რომელიც მას უბრძოლველად ხვდა წილად საბჭოთა კავშირის დაშლით.**

ის, რომ ევროკავშირი ზენაციონალურ ორგანიზაციად იქცა და ისეთ ქვეყანასაც, როგორიც ინგლისია, დააკარგვინა სუვერენიტეტი, ფაქტია. სწორედ ამის გამო გადის ინგლისი ევროკავშირიდან. სწორედ ბრიუსელის მიუღებელმა პოლიტიკამ გამოიწვია უნგრეთის, პოლონეთის, იტალიის, ავსტრიის, სხვების უკმაყოფილება მის მიმართ, რომელიც შეიძლება „გაყრით" დამთავრდეს.

სატელევიზიო თოქ-შოუებში ზურაბიშვილის დამცველად „ოცნების" წარმომადგენლები გამოდიან, მაგრამ ვაი ამ გამოსვლას — რამე არ შემეშალოს და ოპოზიციის სამიზნე არ გავხდეო. ჯიქურ მიჭრილ დამნაშავე „ნაცების" დამადანაშაულებელ კითხვებს ისე პასუხობენ, თითქოს ისინი იყვნენ დამნაშავენი ომის გაჩაღებაში და არა მათი მოპაექრენი. ჯამში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „საქართველო მართალია" (ასე ამბობენ „ოცნებელები") და რუსეთი არის აგრესორი. ესოდენ მცდარი პოზიციით ვერც „ოცნება" წაიწევს წინ და ვერც საქართველო.

„ნაცებს" და მის ფრაგმენტებს გამუდმებით შეუძლიათ სხვისი დადანაშაულება, ამ შემთხვევაში რუსეთის, მაგრამ ამით თავს ვერ გაიმართლებენ. ისინი იყვნენ, არიან და იქნებიან ომის გამჩაღებელი დამნაშავეები, რისი თქმაც არ უნდა ერიდებოდეს „ოცნებას".

„ნაციონალები" აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილის განცხადებები ომის დაწყებასთან დაკავშირებით არაერთხელ გამოუყენებიათ რუსეთის პოლიტიკოსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სალომე რუსეთის პოლიტიკის გამტარებელია. ასეთი კი საქართველოს პრეზიდენტი ვერა და ვერ იქნება.

ომის დაწყების თემის გააქტიურება იმის მაუწყებელია, რომ მსოფლიო საზოგადოებამ სათანადოდ ვერ შეაფასა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, არ დასაჯა აგრესორი, არ გამოააშკარავა ძალები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ომის გაჩაღებას, რაც უდავოდ მიანიშნებს კოლექტიური დასავლეთის სურვილზე — არ დაინახოს კავკასიაში შექმნილი რეალობა.

საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობებზე გარკვეული აქცენტები გააკეთა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გაეროს 73-ე გენერალურ ასამბლეაზე. პრემიერის კეთილი სურვილები „ძმებთან" სამომავლო ურთიერთობების თაობაზე ოფიციალურმა სოხუმმა და ცხინვალმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

„საქართველოს პრობლემა ის არის, რომ გადაჭარბებით არის დარწმუნებული თავის ეკონომიკურ შესაძლებლობებში და, რაც მთავარია, გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაში. საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის უღარიბესი ქვეყანაა, კრიტიკული პრობლემებით მოსახლეობის ცხოვრების დონესთან დაკავშირებით.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის 28-წლიანმა დამოუკიდებლობამ დაამტკიცა მისი სიცოცხლისუნარიანობა. სამხრეთ ოსეთი არის დამოუკიდებელი, საერთაშორისო არენაზე ცნობილი და აღიარებული სახელმწიფო. და საქართველოს, „საერთო მომავლის" არავითარი ილუზია არ უნდა ჰქონდეს", — აცხადებს ე.წ. დამოუკიდებელი ქვეყნის აშკარად დაბრმავებული საგარეო უწყება.

მკაცრია მეორე „დამოუკიდებელი" ქვეყნის აფხაზეთის განცხადებაც: „უკვე მერამდენედ, საქართველოს ხელმძღვანელები იყენებენ რა საერთაშორისო ტრიბუნას, თავის მოტყუებით არიან დაკავებული. ცდილობენ, დაარწმუნონ აუდიტორია და საკუთარი თავიც აფხაზეთთან „საერთო მომავლის" შესაძლებლობაში, მაშინ, როდესაც ჯიუტად არ ამჩნევენ, რომ მათი „თანამოქალაქეები" უკვე 25 წელია, არიან სუვერენული სახელმწიფო აფხაზეთის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოსთან არავითარი ურთიერთობა არ აქვთ".

რაც შეეხება მესამე მხარეს, რუსეთს, მან საგარეო უწყების პირით გააკეთა ასეთი განცხადება: „მსოფლიო საზოგადოებას არწმუნებენ რეალობისგან მოწყვეტილი წარმოდგენებით, რომ ამ რესპუბლიკების მოსახლეობა სიხარულით დაბრუნდებოდა საქართველოს შემადგენლობაში, რომ არა „რუსი ოკუპანტები". ქართულ მხარეს ჟენევაში აქვს საშუალება, გააცნოს ამ რესპუბლიკების წარმომადგენლებს „სამშვიდობო ინიციატივების" შინაარსი, მაგრამ ქართულ მხარეს ჯერჯერობით ეს შესაძლებლობა არ გამოუყენებია".

ყოფილი ავტონომიებისა და რუსეთის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები მკითხველის სამსჯავროზე იმიტომ გამოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა პრობლემები, რომლებიც გამოიწვია 2008 წლის ომმა, ანუ სააკაშვილის მავნე პოლიტიკამ. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ, ქართულმა პოლიტიკამ დაგმოს მისი 2008 წლის მცდარი ქმედება, დამნაშავე დამნაშავედ ცნოს და თვალთმაქცობის ნაცვლად, რეალობას გაუსწოროს თვალი, საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ასეთი პოლიტიკით ვერაფრით დავარწმუნებთ აფხაზებსა და ოსებს ჩვენს კეთილ სურვილებში. სიმართლე უნდა ითქვას, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.



**სწორედ ასეთი სიმართლე თქვა ზურაბიშვილმა 2008 წელს და ახლა, 2018 წელსაც, რისთვისაც მას მადლობა უნდა ვუთხრათ.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



# გაუფრთხილდეთ კოლხურ ბზას!

**ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ბზის ალურით დაზიანებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლის მესამე ეტაპი დასრულდა.**

**2018 წელს კოლხური ბზის კორომების შეწამვლა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურების ბზით დაფარულ ფართობებზე სამ ეტაპად განხორციელდა. ბიოლოგიური პრეპარატით „ლეპიდინით" ჯამში 550 ჰა ფართობი შეიწამლა. იმერეთი - 63 ჰა, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი — 252 ჰა და სამეგრელო-ზემო სვანეთი — 237 ჰა. მავნებლის ინტენსიური მონიტორინგისა და დიდი რაოდენობით დაჭერა-განადგურების მიზნით, ბზის კორომებში განთავსებული იყო 1500 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი.**

**ეროვნული სატყეო სააგენტო, ბზის კორომების შეწამვლას 2016 წლიდან ახორციელებს. მავნებლის ბიოლოგიიდან გამომდინარე, შეწამვლითი სამუშაოები სამჯერ, 400 ჰა ფართობზე განხორციელდა, რასაც 2017 წელს დაემატა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი. საერთო ჯამში გასულ წელს ბიოლოგიური პრეპარატით, შეწამლული იქნა 550 ჰა ბზით დაფარული ფართობი.**




## ვაჟა ბექაური:

# ცილისმწამებლისა და უსინდისო ხალხის ბოდიში კი არ მსურს მოვისმინო, ყბები მუშტით მინდა, რომ დავუნგრიო!

## ამას იმიტომ მოგახსენებთ, არ იფიქროთ, შეკვეთილი წერილიაო...

**აუ, როგორ მიჭირს წერა იმის შესახებ, რასაც მკითხველს ქვემოთ მოვახსენებ!**

ამას წინათ, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ **ქეთევან ხამიცაშვილის** საუბრები (№37, 10-16 სექტემბერი) ყოფილ პარტიულ მაღალი თანამდებობის პირებთან **ზურაბ მაისურაძესთან** და საგარეჯოს რაიონის მილიციის ყოფილ უფროსთან **გივი ხიდეშელთან**, რომლებშიც საქართველოს კომპარტიის ყოფილი ცეკას პირველი მდივნის **ჯუმბერ პატიაშვილის** ლანძღვაგინება იყო.

ღმერთია მოწამე, მე ჯუმბერ პატიაშვილთან არავითარი ურთიერთობა არ მაკავშირებს, ვიცნობ მხოლოდ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით და მის მიმართ სიმპათიაც გამაჩნია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ არ იფიქროთ, შეკვეთილი წერილიაო.

მთელი ჩემი ცხოვრება გავლიე უნამუსო და ცილისმწამებელ ხალხთან ჭიდილში, ალბათ, ამიტომაცაა, რომ უსინდისო და ცილისმწამებლების მიმართ აგრესია ბავშვობიდანვე ჩამომიყალიბდა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა მამაჩემს ადამიანის მკვლელობა დასწამეს უსინდისო და უნამუსო ცილისმწამებლებმა, რასაც მილიციამაც შეუწყო ხელი. ცოდვა დააბრალეს კაცს, ხუთი წვრილ-შვილის მამას, კარგ თამადას, მიწაზე მომუშავე გლეხს, რომელიც სახლში ქათამს არ კლავდა, მეცოდებაო. ავისმქმნელებმა ოჯახი დამინგრიეს, ტირილსა და მწუხარებაში გამატარებინეს ახალგაზრდობა. დღემდე შემომრჩა ხასიათში – გულიანად ვერ გამიცინია, იმდენი ტკივილიანი დღეები მაქვს გამოვლილი.

ოთხ წელს გრძელდებოდა სასამართლო, რომლის დროსაც მამაჩემს ხან სიკვდილს უსჯიდნენ და ხან 15 წელს, ბოლოს 15-წლიანი სასჯელი დაუტოვეს. დღემდე ლეგენდად დადის მამაჩემის ადვოკატის **ვახტანგ ყურაშვილის** საქციელი, რომელმაც ბოლო სასამართლოს წინ გვითხრა – მამათქვენს ვერ ვუშველე, 15 წელს მისცემენ და განაჩენს შეურიგდითო. მერე ადგა და ის 2000 მანეთი, რომელიც ოთხი წლის წინათ მივეცით, ბიძაჩემს უკან დაუბრუნა – ეს კაცი ციხიდან უნდა გამომეყვანა და რადგან ვერ შევძელი, მისი ბავშვების შემყურე, ამ ფულს ვერ დავიტოვებო (მგონი, დღევანდელი ადვოკატებიც ასე იქცევიან!). წარმოიდგინეთ რამდენჯერ მოუწევდა ამ კაცს მოსკოვში გადაფრენა-გადმოფრენა, სასტუმროში დაბინავება, მისვლა-მოსვლა, მაშინ ხომ მოსკოვში განიხილავდნენ მძიმე დანაშაულს, განაჩენი მოსკოვში მტკიცდებოდა. მართალია, მგზავრობა იაფი იყო, მაგრამ მაინც დიდი ხარჯი ჰქონდა (**ცნობისთვის: ადვოკატი ვახტანგ ყურაშვილი ახალგაზრდობაში საქართველოს იუსტიციის მინისტრიც იყო**).

ამის გამო მძულს ბავშვობიდან ცილისმწამებლები და უსინდისო ხალხი, გამოვლენ და ამბობენ: ბოდიში მოგვიხდია ცილისწამებისთვისო. ვერ გამიგია, რას ჰქვია ბოდიშის მოხდა, კაცს ცხოვრებას უნადგურებენ და ამას განა ბოდიში უშველის?! სურვილი მიჩნდება, ცილისმწამებლების ბოდვები კი არ მოვისმინო, ყბები სულ მუშტით დავუნგრიო და დავულეწო, რომ სიცრუე ველარ იბუტბურონ!

ან კი ახლა რა ხდება?! მინისტრები და პარლამენტის წევრები რომ დაერივნენ ერთმანეთს, ყოველგვარ ცილისწამებას რომ კადრულობენ, ეს ხომ ქვეყნის უბედურებაა!

სამწუხაროდ, ამ არაკაცობას და უსინდისობას დღეს დიდი გასავალი აქვს, რასაც ხელს უწყობენ ზოგიერთი ვითომ ნიჭიერი, ვითომ განათლებული, ვითომ წიგნიერი და ვითომ სამშობლოს მოყვარული ადამიანები, ჟურნალისტები რომ ჰქვიათ.

**მე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მუდმივი მკითხველი ვარ, დიდი ხანია, ამ გაზეთის გამოსვლას ყოველ ორშაბათს ზეიმივით ველი. ამ გაზეთმა ლომის წილი შეიტანა იმ ომში, რომელიც ნაცების წინააღმდეგ მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს, ნამდვილად ლიდერია დღევანდელ ბეჭდვით მედიაში, იქ უაღრესად ნიჭიერი ჟურნალისტები მუშაობენ და ამიტომ ჩემთვის ძალიან საინტერესო გაზეთია. ჩემს სამეგობროში ხშირად ვკამათობთ ამ გაზეთის ავ-კარგიანობაზე, ზოგი აქებს, ზოგიც აკრიტიკებს, მე კი ბოლომდე ამ გაზეთის ერთგული ვრჩები, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ზოგჯერ აქვს პატარ-პატარა ლაფსუსები, მაგრამ, მაინც სახალხო გაზეთია.**

თუმცა, მოდით, დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს.

ზემოთ ნახსენებ მასალებში საგარეჯოს რაიონის მილიციის ყოფილი უფროსი გივი ხიდაშელი წერს: „80-იან წლებში, როცა მე საგარეჯოს რაიონის მილიციის უფროსი ვიყავი, სოფელ ბადიაურში მოხდა ავარია და გარდაიცვალა ქალი, რომელიც გზაზე გადადიოდა. მანქანა სახელმწიფოსი იყო, მძღოლს კვირა დღეს კანონდარღვევით ჰყავდა მანქანა გამოყვანილი თვითნებურად, ერთი სიტყვით, მძღოლს წაუყენეს ორი სახის ბრალდება ერთად, მოკვლევა ჩვენ ჩავატარეთო, ხოლო ცოტა ხნის პატიმრობის შემდეგ სასამართლომ ის მძღოლი გაათავისუფლა. ამ ამბის შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილმა მე სამსახურიდან გამათავისუფლა და ახლა, 31 წლის შემდეგ ვეუბნები მას – უსამართლო და უსინდისო ხარ!“

ეს რომ წავიკითხე, გივი ხიდეშელის მიმართ კითხვა დამებადა და დავურეკე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს ქეთევან ხამიცაშვილს, თუ შეიძლება, შეკითხვა მაქვს გივი ხიდეშელის მიმართ კომენტარის სახით და მომისმინეთ-მეთქი. მითხრა, კი ბატონო, მე თვითონ დაგირეკავთო, მაგრამ არ დაურეკავს. კიდევ დავურეკე, „ახლა მე შვებულებაში ვარ და ორი კვირის შემდეგ ვიქნებიო“, მიპასუხა. გავიდა ორი კვირა და დავურეკე – „ერთ კვირაში ვიქნები და რომ ჩამოვალ, მე თვითონ დაგირეკავთო“. გავიდა თორმეტი დღე და კიდევ არ დამირეკა. კვლავ დავურეკე, უკვე მეოთხედ – „ბატონო ვაჟა, ახლა ჩამოვედი და რედაქციაში მივდივარ, ხვალ აუცილებლად დაგიკავშირდებითო“. კიდევ ველოდე ოთხი დღე და ბოლოს გადავწყვიტე, ეს დამეწერა და სხვა გაზეთისთვის მიმემართა.

ეს განმარტებისთვის.

**გივი ხიდეშელი** წერს: „მძღოლმა უამბო თავის უფროსს უბირიას, თითქოს ყველას ფული მისცა და ისე გათავისუფლდა, არადა, სასამართლოც ჩატარდა, დაკავებულიც იყო. საქმის პროცესუალური მომზადება მე დამაბრალა. მოკლედ, ეს მძღოლი უსინდისო აღმოჩნდა“.

როგორც თვითონ ხიდეშელი ბრძანებს, მძღოლმა უსამართლოდ დააბრალა მილიციის უფროსს გამოძიების, მოკვლევისა და საერთოდაც, საბუთების შედგენა ისე, რომ სასამართლო იძულებული გახდა, დამნაშავე მძღოლი გაეთავისუფლებინა. წარმოგიდგენიათ, ეს ხდება კომუნისტების დროს. თურმე უბრალო „შოფრები“ როგორ ჩაგრავდნენ რაიონის მილიციის უფროსებს, ცილს სწამებდნენ და ამის შედეგად მათ სამსახურიდან ათავისუფლებდნენ, ის კი თავის გამართლებას ვერ ახერხებდა! და ახლა, 31 წლის შემდეგ ის აცხადებს – მძღოლი უსინდისო იყოო. რად უნდა ლაპარაკი, რომ ბატონ ხიდეშელს რაღაც დანაშაული მიუძღოდა იმ მძღოლის სასჯელთან დაკავშირებით, მაგრამ ასე წარმომიდგენია, რომ ქრთამი არ აუღია. არა, ბატონებო, უბრალოდ, ეს კაცი იყო ისეთი მილიციის უფროსი, რომელიც თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ! შეეცოდა მძღოლი, ალბათ, იმან სთხოვა ციხეში ნუ გამიშვებო, დაიწყო ტირილი, კაცს მოულბა გული, თვითონაც წამოუვიდა ცრემლები და, რა ექნა, ადგა და უანგაროდ დაეხმარა მძღოლს სასჯელიდან თავის დაღწევაში.

**თურმე „უსინდისო“ გამოდგა კაცი, რომელმაც თავის უფროსს უთხრა: „ფული გადავიხადე და ისე გამათავისუფლესო“, ამის შედეგად ეს ანგელოზი კაცი გივი ხიდეშელი ჯუმბერ პატიაშვილმა ამის გამო სამსახურიდან გაათავისუფლა...**

ზოგს ჰგონია, რომ ღმერთი არ არსებობს, არა ბატონებო, ღმერთი ჭეშმარიტებაა! გივი ხიდეშელს უნდოდა, ჯუმბერ პატიაშვილისთვის ჩირქი მოეცხო, მაგრამ უფალმა შეუშალა ხელი!

მახსენდება საქართველოს ისტორიიდან ერთი ეპიზოდი: ქართველები იძულებით მონღოლებთან ერთად ხვარაზმელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ღამე, როცა ჯარი დაბანაკებული იყო, ვიღაცამ მონღოლთა ნოინი, სარდალი ჩაღატა კარავში მოკლა. მონღოლებს ეჭვი ქართველებზე აუღიათ, ქართველები ცოტანი იყვნენ, მონღოლები დახოცვას უპირებდნენ. რა უნდა ექნათ ქართველებს, წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდნენ და თან ლოცულობდნენ, უფალს სთხოვდნენ სამართლიანობის დადგენას, მოწყალების კარი გაგვიღე, ყოვლად წმინდა ღვთისმშობელოო, და მოხდა საოცრება: ლელიანიდან გამოხტა კაცი დანით ხელში და მონღოლებს შესძახა: „ჩაღატა მე მოვკალიო“. დაიჭირეს და პასუხი აგებინეს მონღოლებმა ისე, როგორც იცოდნენ. მაგრამ, აქ სხვა რამეზე მინდა, ყურადღება გავამახვილო: როდესაც ამ კაცს ჰკითხეს, შენი ნებით რატომ აღიარე დანაშაულიო, მან უპასუხა: ანგელოზი გამომეცხადა ქალის სახით და მან მიბიძგა გამოვსულიყავი და სიმართლე მეთქვაო. როგორც ამ ამბავს ხსნიან, ალბათ, ღვთისმშობელი გამოეცხადა.

ასეა გივი ხიდეშელის მიმართაც, ანგელოზმა ათქმევინა სიმართლე, ქრთამის აღება, და სასამართლოში წარსადგენი საბუთები მძღოლმა მე დამაბრალაო, და მან იმ დროს თავიც არ იმართლა. თქვენ რას იტყვით მკითხველო, ეს „ანგელოზი“ ხიდეშელი ცოტა მსუბუქად ხომ არ დაუსჯია ბატონ ჯუმბერს, იქნებ ციხეც ეკუთვნოდა? ყველაფერ ამის შესახებ ვთხოვდი ქალბატონ ქეთევან ხამიცაშვილს, რომ კომენტარი ან თვითონ გაეკეთებინა, ან იმისთვის ეკითხა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პასუხი ვერ მივიღე.

შემდეგ ხიდეშელი განცხადებაში რატომღაც ამატებს წინადადებას: „ცხადი იყო ამ კაცით ვიღაცაზე უნდოდათ გასვლაო, ვუსვამ კითხვას ზურაბ მაისურაძესთან დაკავშირებით: საინტერესოა, ეს ნიჭიერი და გამოცდილი ჟურნალისტი რატომ არ ეკითხება, როგორ მოხდა, რომ დამნაშავე კაცი გაათავისუფლეს, ხოლო პირიქით რომ ყოფილიყო, უდანაშაულო ეწამებინათ, დაესაჯათ, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე, კი იფიქრებს კაცი, რაღაც საეჭვოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარია, რანაირად უნდოდათ ზურაბ მაისურაძეზე გასვლა?! მაგრამ ამ შემთხვევაში ჟურნალისტს სიმართლე კი არ აინტერესებს, პირიქით. – რაც შეიძლება მეტი ქვის სროლაა მისი მიზანი ბატონი ჯუმბერ პატიაშვილისკენ. კი, მაგრამ, რატომ, ბატონო, თქვენი გაზეთი ხომ გამიჯნულია ცილისწამებასა და უსინდისობისგან?! თქვენ ხომ არავის დაკვეთებს არ ასრულებთ, მაშ, რა ხდება?!! რატომ წამლავთ საზოგადოებას?!

ბარემ აქვე ზურაბ მაისურაძის მონოლოგზე მოგახსენებთ: ნიჭიერი კაცი ყოფილა, მხატვარი, პოეტი და სხვა, ეს დახასიათება, სხვათა შორის, არის წინ წამოწეული, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, როგორც ნიჭიერ ხელოვანზე. როგორც ხდება ხოლმე, საზოგადოებას დადებითი წარმოდგენა ექმნება ხელოვან ხალხზე და მართებულადაც. მაგრამ მახსენდება ნამდვილად ნიჭიერი ჯალალ-ედ-დინი, იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა და კიდევ ბევრი სხვა. ისინიც ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ ადამიანურ ზნეობასთან არაფერი არ აკავშირებდათ, თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონებო, ნაციონალებში რამდენია ნიჭიერი, რომლებიც ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ საქართველოს სახელი გაუტეხონ ევროპარლამენტში და საერთოდ მსოფლიოში? თუმცა, ბოდიშს გიხდით, თემას გადავუხვიე!

ისევ მივმართავ ქალბატონ ქეთევან ხამიცაშვილს, ჰკითხოს ბატონ ზურაბ მაისურაძეს: როდესაც მუშაობდა საქართველოს მთავრობაში, რამდენი ჰქონდა ხელფასი? შემდეგ, ზუსტად იმ დროს 1986-1987 წლებში, როგორ, რა სახსრებით აიშენა სოფელ პანტიანში სამსართულიანი დიდებული სახლი? თუ იტყვის, რომ თვითონ მუშაობდა, თვითონ აშენებდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ისე, როგორც მე მაქვს ჩემი ხელით აშენებული სახლი, რომელიც დღემდის ვერ დამიმთავრებია, ვიწამებ, რომ ანგელოზი ყოფილა, თანაც ნიჭიერი პოეტი და მხატვარი. მასთან ერთად ბატონ გივი ხიდეშელსაც ანგელოზად აღვიქვამ და კიდევ მათი ჯგუფის სხვა წევრსაც.

პასუხს აუცილებლად მოვითხოვ.

**ვაჟა ბექაური,**

**ინჟინერ-მშენებელი. ტელ: 551-17-34-44**

**P. S.**

**ჩემმა ოპონენტმა მეგობარმა დამირეკა და ნიშნის მოგებით მითხრა, ეგეც შენი გაზეთი, ვერ გრძნობ, როგორ ყარსო?! ძალიან მწყდება გული, ვერ წარმომიდგენია, ნუთუ მართალია ჩემი მეგობარი, ღმერთო, გთხოვ ნუ დამსჯი, გადამარჩინე, სხვამ არავინ არ მითხრას ეს საშინელი სიტყვა, წარმოიდგინეთ, ძალიან გიყვარდეს ადამიანი და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინო, რომ ის ნაძირალაა!**

**ახლა, ორშაბათს ხელი წამიცდა და „ასავალ-დასავალი“ კიდევ შევიძინე. გადავფურცლე, დავაკვირდი და, ნამდვილად, ჩემი მეგობრისა არ იყოს, მეც ვიგრძენი, რომ ცილისწამებით, ბოღმით სავსე სიმყრალეა. დავხიე და ცეცხლი წავუკიდე!**

**ვ. ბ.**

**რედაქციისგან:**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ არ იზიარებს ბატონი ვაჟა ბექაურის P.S.-ში გამოხატულ მოსაზრებას.**



# იციკ მოშე: რა პროფესიის მუშახელის დეფიციტია ისრაელში

**ისრაელში საქართველოს მოქალაქეებისთვის სამუშაო კვოტების საკითხი სავარაუდოდ, 2019 წელს გადაწყდება, მანამდე მისი დეტალები შესაბამის უწყებებთანაა გასარკვევი.** საკითხზე, თუ რა პრობლემების გადაჭრაა აუცილებელი იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა მიეცეთ, **ALLNEWS.GE** „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელს **იციკ მოშეს** ესაუბრა.

**„ჯერ კიდევ 2 წლის წინ ვთქვი, რომ უნდა დამდგარიყო ისრაელში საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დასაქმების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისრაელში საქართველოს მოქალაქეთა არაკანონიერად დასაქმების პრობლემა ვერ აღმოიფხვრებოდა. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობებზე მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება. ორი წლის წინათ, არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, გამოვედი ინიციატივით, 100 დღით შეჩერებულიყო უვიზო მიმოსვლა და ამ დროის განმავლობაში საკითხზე ემუშავა სპეციალურ კომისიას. ისრაელში საქართველოს მოქალაქეების კანონიერად დასაქმების საკითხზე ორჯერ ჩამოვიყვანე ოფიციალური დელეგაცია ისრაელიდან, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ქნესეთის, მთავრობისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. ისრაელის მხრიდან საკითხზე იყო თანხმობა, თუმცა მას მსვლელობა აღარ მიეცა. ჩვენ შეგვიძლია ცხენი წყალთან მივიყვანოთ, დალევს თუ არა, ეს მისი საქმეა. რა თქმა უნდა, მთავრობებს ვერ დავავალდებულებთ, თუმცა რეალობა საკმაოდ მწარეა და ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, გარკვეული პირები და ორგანიზაციები მღვრიე წყალში თევზს იოლად იჭერენ — მათ დიდი თანხის სანაცვლოდ უკანონოდ შეჰყავთ საქართველოს მოქალაქეები და ასევე უკანონოდ ასაქმებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ასეთი მოქალაქე იხდის უზარმაზარ თანხას და თან თანამონაწილე ხდება უკანონობის. ამასთან, ქვეყნიდან გაედინება ათეულობით მილიონი დოლარი, რომელიც არ შედის არც საქართველოს და არც ისრაელის ბიუჯეტში.**

**სავიზო მიმოსვლის 100 დღით შეჩერებით და საკითხზე საფუძვლიანი მუშაობით ქართული მხარისგან ისრაელი მიიღებდა სერიოზულ მესიჯს, მათ შორის იმ უკანონო მიგრანტების უკან დაბრუნებაზე, რასაც ისრაელი ითხოვს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გულისხმობდა აგრეთვე, სამუშაო კვოტების საკითხის დასმასაც, რაზეც ისრაელის მხრიდან, ფაქტობრივად, არის თანხმობა, ოღონდ არალეგალ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვის შემცირების ხარჯზე. ჩვენ თავდაპირველად რომ მიგველო თუნდაც 50 ან 100 ადამიანის დასაქმების კვოტა, ეს უკვე იქნებოდა კარგი პრეცედენტი, რომ შემდეგში ის 1000-5000-მდე გაზრდილიყო. ისრაელში საქართველოს მოქალაქის ლეგალურად დასაქმებით ქვეყანა მიიღებდა მაღალ შემოსავლიან, ისრაელის გამოცდილებას ნაზიარებ და ისრაელისადმი კეთილგანწყობილ მოქალაქეს.**

**სამწუხაროდ, ზოგჯერ სხვადასხვა ოფიციალურ უწყებებს არ უყვართ ხოლმე რჩევების მიღება და ამიტომ ჩვენი ეს ინიციატივა დაიბლოკა. ამის მიუხედავად, ჩვენ საკითხზე მუშაობა არ შეგვიწყვეტია და დღესაც მზად ვართ, რეალობიდან გამომდინარე მივუთითოთ საჭირო და აუცილებელ ნაბიჯებზე. ჩვენ არ გვინდა, რომ საქართველოს მოქალაქემ გაყიდოს ბინა იმისათვის, რომ ისრაელში დასაქმდეს. პირიქით, ჩვენი სურვილია, ის ისრაელში კანონიერად ჩავიდეს, იმუშაოს ღირსეულად და ქვეყანას დაუბრუნდეს როგორც ისრაელის მეგობარი. ჩვენ არ ვემალებით პრობლემას, პირიქით, ყოველ ოფიციალურ შეხვედრაზე ვთხოვთ მხარეებს, წამოიწიოს ეს საკითხი. ვარ მომხრე, პრობლემას სახელი დაერქვას და მოგვარებაზე ვიმუშავოთ გაბედულად. ვინაიდან ოფიციალურად ითქვა, რომ ისრაელში საქართველოს მოქალაქეებისთვის სამუშაო კვოტების საკითხი სავარაუდოდ, 2019 წელს გადაწყდება, მისი დეტალები ოფიციალურ უწყებებთანაა გასარკვევი. ფაქტია, მოქალაქეთა ერთი ნაწილი შედის ისრაელში, ნაწილი კი ამას ვერ ახერხებს. მიზეზები ქართულმა მხარემ უნდა შეისწავლოს“,** — განაცხადა იციკ მოშემ.

იმის გასარკვევად, თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულებას შეძლებდნენ საქართველოს მოქალაქეები ისრაელში ოფიციალურად დასაქმების შემთხვევაში, „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელს ვკითხეთ, რა პროფესიის მუშახელის დეფიციტია ისრაელში.

**„ისრაელს, როგორც წესი, აქვს მუშახელის საჭიროება მშენებლობაზე, მომსახურების სფეროში, ოჯახებში დამხმარის პოზიციაზე, თუმცა მოთხოვნებია აგრეთვე ისეთ სფეროში, როგორიც მაღალი ტექნოლოგიებია“,** — განმარტა იციკ მოშემ.

კითხვაზე, საქართველოს რამდენი მოქალაქის ლეგალურად დასაქმებას შეძლებს ისრაელი, მოშემ განმარტა, რომ მთავარია, საქართველომ მიიღოს პირველი კვოტა. თავდაპირველად, რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა, თუმცა ეს იქნება წინაპირობა, რომ კვოტები მომავალში გაიზრდება.

ისრაელის სახლის ხელმძღვანელის ინფორმაციით, არსებობს სხვადასხვა მონაცემი, თუმცა სავარაუდოდ, დღეს ისრაელში არალეგალურად 30 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს.

# კონსპირაციების სამიზნე




## C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატი რუსეთში 2016 წლიდანაა რეგისტრირებული

**2018 წლის 4 ოქტომბერს „ობიექტივის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოოლოგიური თავდაცვის ჯარების მეთაურის იგორ კირილოვის ბრიფინგის შესახებ, რომელიც თბილისში მდებარე ლუგარის ლაბორატორიას შეეხებოდა.** კირილოვის თქმით, ლუგარის ლაბორატორიაში საქართველოს მოქალაქეებზე პრეპარატი, სახელწოდებით „სოვალდი“ გამოსცადეს. მისივე თქმით, „სოვალდის“ აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის კომპანია „გილეადი“ აწარმოებს.

**პრეპარატი „სოვალდი“, რომელიც C ჰეპატიტით დაავდებული პირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტია და რომელიც რუსეთმა ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ შეთქმულებების საბაბად გამოიყენა, რუსეთში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლიდან არის რეგისტრირებული. გარდა ამისა, „გილეადის“ დაკავშირება აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან მანიპულაციურია, რადგანაც დონალდ რამსფელდი „გილეადის“ გამგეობის თავმჯდომარე 1997-2001 წლამდე, თავდაცვის მდივნის თანამდებობის დაკავებამდე იყო.**




### ფაქტი №1. პრეპარატი „სოვალდი“ რუსეთში 2016 წლიდან არის რეგისტრირებული და ჯანდაცვის სამინისტრო მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრეპარატად მოიაზრებს.

რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს “სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეესტრის“ თანახმად, პრეპარატი „სოვალდი“ რუსეთში 2016 წლის 25 მარტიდან არის რეგისტრირებული. 2018 წლის 4 სექტემბერს რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს კომისიამ მომდევნო წლის სასიცოცხლოდ აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი სამკურნალო საშუალებების სიაში სწორედ „სოვალდის“ შეტანის საკითხი განიხილა. როგორც რუსული „კომერსანტი“ იუწყება, „სოვალდის“ აღნიშნულ სიაში შეტანის საკითხი 2017 წლისთვისაც განიხილებოდა, თუმცა ახლა პრეპარატი 2019 წლის სიაში აისახება.

მიზეზი, რის გამოც „სოვალდი“ 2019 წლამდე აღნიშნულ სიაში არ ასახულა, პრეპარატის ღირებულებაა და არა ადამიანებზე ჩატარებული ცდების კონსპირაციები. რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ელენა მაკსიმინამ აღნიშნა, რომ რუსეთს „სოვალდიზე“ გადასვლის აუცილებლობა გააზრებული აქვს, თუმცა მისი ძვირი ღირებულება რუსეთის ბიუჯეტს არ შეესაბამება.

სწორედ ამიტომ, რუსეთი „სოვალდის“ მწარმოებელ კომპანია „გილეადთან“ მოლაპარაკებებს რამდენიმე წელია, აწარმოებს, რათა რუსეთმა მიიღოს „სოვალდის“ გენერიკის ან „სოვალდის“ მსგავსი პრეპარატის ადგილზე წარმოების ლიცენზია, რათა ის რუსეთის საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

### ფაქტი №2. დონალდ რამსფელდი „გილეადს“ 2001 წლამდე წარმოადგენდა

**კრემლი და კრემლისტური მედია ცდილობს C ჰეპატიტის სამკურნალო „სოვალდი“ და მისი მწარმოებელი კომპანია „გილეადი“ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაუკავშიროს და ამით გააძლიეროს კონსპირაცია, თითქოს აშშ-ის სამხედრო ორგანოები ადამიანებზე ცდების ჩატარებით არის დაკავებული.**

სინამდვილეში, დონალდ რამსფელდი „გილეადის“ გამგეობის თავმჯდომარედ 1997 წელს აირჩიეს და კომპანიას 2001 წლამდე წარმოადგენდა, მანამ სანამ თავდაცვის მდივნის თანამდებობაზე დაინიშნებოდა. ამერიკული Snopes-ის ინფორმაციით, 2006 წელს პენტაგონმა განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, რამსფელდის და „გილეადის“ ურთიერთობა 2001 წელს რამსფელდის საჯარო თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მხოლოდ რამსფელდის ინვესტიციებს მოიცავს და 2001 წლის შემდეგ ის კომპანიას არ წარმოადგენს.

**„მითების დეტექტორი“**

# პესიმისტების თაობა: რატომ დაკარგა „გამარჯვებულთა ერმა“ იმედი



**პესიმისტური განწყობა, აფხაზეთში ცხოვრების მოძულება და რაიმე საქმის კეთების სურვილის არქონა... რაიმე აკეთო. ყველაფერი ეს ხშირად გვხვდება აფხაზ ახალგაზრდებში, რომელსაც მეც წარმოვადგენ. არა, საკითხი ეგზისტენციალურ-ფილოსოფიური არ არის. ვწერ იმაზე, რაც დაგროვდა და მტკივა.**

**არავისთვის არის საიდუმლო, რომ 20 წელს გადაცილებული ზოგიერთი აფხაზი, რომელსაც საკმაოდ პრესტიჟული განათლება აქვს მიღებული, საკუთარ მომავალს აფხაზეთში ვერ ხედავს. ზოგიერთები მათ არაპატრიოტებად თვლიან, სხვები კი ახალგაზრდების გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ და ამბობენ, „არ ღირს, თავი დაიღუპო აფხაზეთში, სადაც კარიერული პერსპექტივა არ არსებობს“.**

20-დან 35 წლამდე ასაკის ჩემს ნაცნობებში გვხვდებიან ისეთები, ვინც უმაღლესის დასრულების შემდეგ აფხაზეთში აღარც დაბრუნებულა, ან დაბრუნდა, თუმცა იმედგაცრუების მეტი, ვერაფერი მიიღო და ახლა ცდილობს, იქაურობას გაეცალოს.

მათი მოტივები, ერთი მხრივ, გასაგებია. მოდით, ვაღიაროთ: ქვეყანაში პრაქტიკულად ფიზიკურ დონეზე იგრძნობა საერთო არაკეთილდღეობა, ყოვლისმშთანთქმელი სტაგნაცია, რომელიც უკვე 25 წელია, გრძელდება. მიზერული ხელფასები, ცხოვრების დაბალი დონე. ამას ემატება უმძიმესი ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელსაც ახალგაზრდების თვითმკვლელობების, ნარკოტიკებისგან და გზებზე დაღუპვის შესახებ სისტემატური ცნობები ქმნის...

ერთ-ერთი მეგობარი მუდმივად მეუბნება, რომ დიდი სიამოვნებით წავიდოდა საზღვარგარეთ და იქ აიწყობდა ცხოვრებას. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აფხაზურ ახალგაზრდობას უფროსმა თაობამ სილა გააწნა და „თანამედროვეობის გემიდან“ გადააგდო.

დიახ, პესიმისტური განწყობები ხშირად ყველას ეუფლება. თუმცა მეგობრებო, ყველაფერი არც ისე ცუდადაა. ჩვენ გაუმართლებლად ვნებდებით, ვოცნებობთ სხვა ქვეყანაში გაჭრაზე და კომფორტს იქ ვეძებთ, გვსურს მაღალი ხელფასები და კარგი ცხოვრება. დამეთანხმებით, თუ ჯიბეში მილიონები არ გიდევს, სადაც არ უნდა იყო, მაინც მოგიწევს მთაზე სიზიფის ლოდის აგორება.

ხშირად უფროსებისგან გვესმის, როგორ აშენებდნენ თავის ცხოვრებას ნულიდან. შედეგად ყველაფერი გამოსდიოდათ. მაშ რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენ არ გამოგვივა? ერთხელ ეთნოლოგმა მარინა ბარციცმა საუბრისას ძალიან სწორი კითხვა დასვა: „რატომ ჩავარდნენ აპათიაში გამარჯვებულთა შვილები?!“.

**ჩვენმა მშობლებმა მოიგეს ომი. დღეს ვინ, თუ არა ჩვენ, უნდა გავაგრძელოთ ახალგაზრდა აფხაზური სახელმწიფოს მშენებლობა? უნდა მოვახდინოთ ნების, ძალ-ღონის კონსოლიდაცია, ვიმოქმედოთ არა „წყალობით“, არამედ „მიუხედავად“, რათა შევქმნათ საკუთარი „სწორი“ რესპუბლიკა, სადაც არ იქნება კორუფცია, სიცრუე და პესიმიზმი. და ეს უტოპია არ არის! მძიმე ფიქრებს კი თავი დაანებეთ, — ისინი გადამდებია.**

**სარა კვარაცხელია,**
**„სპუტნიკი“**




# გალელების გზა საარჩევნო უბნამდე

*არჩევნების კვირაძალზე*

**ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების მცხოვრები ნუგზარ ხარჩილავა პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ერთი დღით ადრე უნდა გადმოვიდეს დანარჩენ საქართველოში. მისმა ოჯახმა ბინა ბათუმში მიიღო და თავადაც იქ არის რეგისტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ბარღებიდან ბათუმამდე ჩასვლა და უკან დაბრუნება 40 ლარი დაუჯდება, ამ გზას გაივლის და რჩეულ კანდიდატს ხმას მისცემს. თანხის გარდა მას საკმაოდ დიდი დროის ხარჯვაც მოუწევს, რადგან ქვემო ბარღები ენგურის ხიდს 20 კილომეტრით არის დაშორებული.**

ნუგზარ ხარჩილავას სოფლიდან მიკროავტობუსი ენგურის ხიდამდე მიდის. იქიდან მას ზუგდიდის ცენტრამდე სხვა ტრანსპორტში გადაჯდომა მოუწევს, რათა ბათუმში გაემგზავროს. ქვემო ბარღების მცხოვრებს სჯერა, რომ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობით მთავრობასაც შეცვლის:

**„ან 26-ში, ან 27-ში გადმოვალ. ვარიანტი არ არსებობს, ასი პროცენტით წავალ არჩევნებზე. უნდა შეიცვალოს მთავრობა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მეტი ვარიანტი არ არსებობს. მგონი, უკეთესობისკენ შეიცვლება. რამდენი დაგვიჯდება, იცით, გზა? — ენგურის ხიდამდე ექვსი ლარი, მერე კიდევ ორი. აქედან ბათუმამდე 12 ლარი ღირს. ესეც 20 ლარი. იქით ოცი და აქეთ ოცი ლარი, მერე რაღაცაც ხომ უნდა შეჭამო? მოკლედ, ორმოცი ლარი დაჯდება ეს გზა. ასეა ჩვენი ცხოვრება და რა ვქნათ“,** — თქვა ნუგზარ ხარჩილავამ. მასავით არ ფიქრობენ სხვა მგზავრები, რომლებსაც რადიო „თავისუფლება“ ენგურის ხიდზე გაესაუბრა.

რესპონდენტების ნაწილს ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში. ნაწილი უარს ამბობს, რადგან არა აქვთ არჩევნების გზით დადებითი შედეგის მიღების იმედი. არიან ისეთებიც, ვინც პრეზიდენტის შეცვლას რთული მდგომარეობიდან გამოსავლად მიიჩნევს.

**„28-ში გადმოვალ, თუ გამომიშვეს. ისე, რომ არ გამოვეშვეთ, ასეთი შემთხვევა მანამდე არ ყოფილა. 25 კილომეტრი მაქვს გასავლელი სოფელ ოტობაიიდან ზუგდიდამდე. 12-13 ლარი დამიჯდება ეს მგზავრობა. უკეთესობის იმედი მაქვს, რა თქმა უნდა“;**

**„ჩვენი იმედები სულ სხვანაირია — ენგურს იქით ვინც ცხოვრობს, სულ სხვანაირად ფიქრობს. ამ არჩევნებზე ჩვენთვის მოსაგები არაფერი ხდება. სამომავლოდ გაუმჯობესება მაინც არ იქნება ამით, უარესობისკენ კი წავა და ვინც არჩევანს გააკეთებს, ალბათ, შერცხვება სამომავლოდ“;**

**„მიწერა მაქვს ზუგდიდში. წავალ, შვილები მყავს, შვილიშვილებიც. იმათაც ვინახულებ და მონაწილეობასაც მივიღებ“;**

**„უკვე დავიღალე ამდენი არჩევნებით. არავინ არ არის ჩვენთვის. უიმედო ხალხი ვართ“,** — ამბობენ გალის რაიონიდან ზუგდიდში მომავალი რესპონდენტები, რომლებიც უსაფრთხოების დაცვის მიზნით ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ.

გალელები ზუგდიდში რომ გადმოვიდნენ, ენგურის ხიდზე ე.წ. გამშვებ პუნქტზე აფხაზ და რუს მესაზღვრეებს დე ფაქტო რესპუბლიკის პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა უნდა წარუდგინონ. გალელების ნაწილს ე.წ. აფხაზური პასპორტი აქვს, თუმცა უმრავლესობა მაინც დროებითი დოკუმენტით სარგებლობს, რომელსაც დე ფაქტო რესპუბლიკის მთავრობა გასცემს გალელებზე, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. განსხვავებულია საქართველოს მოქალაქეებისთვის გაცემული პასპორტიც:

**„პასპორტში დაუწერიათ „გრაჟდანინ გრუზია“. ბევრს უწერია ასე. ვისაც ასე უწერია, სჭირდება ჩვენი პირადობის მოწმობა. ვისაც არ უწერია, იმათ ეს არ სჭირდება“,** — თქვა გალის რაიონის სოფელ ოქუმში მცხოვრებმა ომარ ოყუჯავამ.

ამ ეტაპზე ოკუპირებულ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში ერთი ოფიციალური ე.წ. გამშვები პუნქტი — ენგურის ხიდი — ფუნქციონირებს. ზუგდიდის სოფლებში არსებული ორი მცირე ზომის ე.წ. პუნქტი დე ფაქტო მთავრობამ, პირობითი საზღვრის უკეთ გაკონტროლების მიზნით, ჯერ კიდევ 2017 წლის დასაწყისში დახურა.

**თამარ ზანთარაია**

# მშვენდება ისნის რაიონი



**ისნის რაიონის გამგეობა სხვადასხვა მისამართზე 26 პროექტს ახორციელებს. სამუშაოები თანადაფინანსებული პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს.**

ბრტყელი სახურავის რეაბილიტაცია ტარდება ვაზისუბნის დასახლების №20 კორპუსში, ვარკეთილის IV მიკრორაიონის III კვარტლის №11ა და №2 კორპუსებში, ხოლო ქანობიანი სახურავი ლუსინიანის ქუჩა №20-ში იცვლება; ახალი წყალსაწრეტი მილები ეწყობა ვაზისუბნის დასახლების №20 კორპუსსა და ქეთევან წამებულის გამზირის №82-ში.

ათ მისამართზე რეაბილიტაცია უტარდება წყლისა და წყალარინების ქსელებს, მათ შორის: ონაშვილის ქუჩა კორპუსი №10, გურჯაანის ქუჩა №1, ვაზისუბნის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი №11, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტლის კორპუსი №14, ვარკეთილის IV მიკრორაიონის III კვარტლის კორპუსი №11ა, ყვარლის ქუჩა №109, სამგორის დასახლება კორპუსი №30, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №37, №53, და №153ა.

სადარბაზოების რემონტი მიმდინარეობს ირბახის ქუჩა №15-ში, ქეთევან წამებულის გამზირის №82-ში, ვაზისუბნის II მიკრორაიონის №2 -სა და №12 კორპუსებში; სენსორული განათების სისტემა მონტაჟდება მოსკოვის გამზირის №19ა კორპუსში; სართულშუა ნაპრალების ამოვსება წულუკიძის ქუჩა №18 კორპუსში ხორციელდება; თანამედროვე ტიპის ლიფტები მონტაჟდება წულუკიძის ქუჩა №23 ბ კორპუსში, ვაზისუბნის დასახლების №21 და №22 კორპუსებში.

აღნიშნული პროექტებისთვის, რომლებიც მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე დასრულდება, ისნის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 575 573 ლარი გამოიყო.

◎ ჩვენებურები

# ფაჩულიას წარმატებული სტარტი




**ზაზა ფაჩულიას „დეტროიტ პისტონსმა“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ახალი სეზონი გამარჯვებით გახსნა.**

მიჩიგანელები შინაურ კედლებში „ბრუკლინ ნეთსს“ დაუხვდნენ და 20 332 ქომაგის თვალწინ 103:100 იმარჯვეს, ქართველი ცენტრი კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 15 წუთში 6 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში), 4 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ზაზამ 6-დან 2 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 5 პერსონალური ფოლი მიიღო. ქართველი ლეგიონერის მოედანზე ყოფნის პერიოდში „პისტონსმა“ მეტოქეზე 9 ქულით მეტი ჩააგდო და ეს, მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

# შენგელიას 21 ქულა და მარცხი „ოლიმპიაკოსთან“

**საკალათბურთო ევროლიგის მე-2 ტურში თორნიკე შენგელიას „ბასკონია“ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ დაუხვდა და ქართველი მძიმე ფორვარდის შედეგიანი თამაშის მიუხედავად, 80:85 დამარცხდა.**

და, სტუმრებს კი სერბმა ნიკოლა მილუტინოვმა ულიდერა — 23 ქულა, 11 მოხსნა. „ბასკონია“ თითო მოგება-წაგებით მე-9 ადგილზე იმყოფება.




ბასკური კლუბი მატჩის მიმდინარეობისას 18 ქულითაც კი აგებდა და მართალია, დასკვნითი მეოთხედი 28:18 დაასრულა, მარცხს მაინც ვერ გადაურჩა.

შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 25:49 წუთში 21 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 24-ს გაუტოლდა და ის ბასკური კლუბის საუკეთესო მოთამაშე გახ-

# შერმადინის შოუ ევროთასზე

**ესპანურმა „უნიკახამ“ ევროთასის მორიგ ტურში მონტენეგროში „მორნარ ბარს“ 96:85 სძლია, შეხვედრის გმირი კი სტუმართა ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი გახდა, რომელსაც ჩინებული თამაში ჰქონდა.**



საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21:20 წუთში 26 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

შერმადინმა 14-დან 11 ორქულიანი, 3-დან 1 საჯარიმო და რაც ძალიან იშვიათია, სამქულიანი ჩააგდო, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 34-ს გაუტოლა და დიდი შანსია, გასული მატჩის მსგავსად, ის სრულიად ტურის საუკეთესო კალათბურთელიც გახდეს.

„უნიკახას“ 2 მოგება და 1 მარცხი მოუგროვდა და ევროთასის 3 ჯგუფში მე-2 ადგილზე იმყოფება.

**გიორგი შოთაძე**

◎ ჩოგბურთი

# დევიძემ პირველი წრე დასძლია

**ქართველი ჩოგბურთელი სალომე დევიძე აშშ-ში, ფლორენსის 25-ათასიან ტურნირში ჩაება და პირველი გამარჯვება იზეიმა.**




დევიძე ძირითად ბადეში „უაილდ ქარდის“ წყალობით მოხვდა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ტარა მურს 6:3, 6:3 სძლია.

ცნობისთვის, ეს უკანასკნელი მსოფლიო რეიტინგში 452-ე ადგილზე გახლავთ, არადა, შარშან მსოფლიოს 145-ე ჩოგანი იყო.

რაც შეეხება სალომეს, ის კლასიფიკაციაში მხოლოდ 878-ეა. დევიძე ამერიკული ტურნირის მერვედფინალში მე-6 ნომრად განთესილ ფრანგ შერაზად რეიქსსა და მასპინძელ სოფი ჩანგს შორის უმჯობესს ეთამაშება.

**კობა კობახიძე**

◎ ჭიდაობა



# დუშეთში — ბოლო შეკრებაზე

**20-28 ოქტომბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დუშეთში გადიან, სადაც მათთან ერთად შეკრებაზე აშშ-ის ნაკრების 4 წევრი და 1 კოლუმბიელიც იმყოფება.**

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ საკონტროლო შეხვედრების შემდეგ დაასახელა უნგრეთში წამსვლელი შემადგენლობა. მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სპორტის ღირსებას დაიცავენ: **57 კგ:** ოთარ გოგავა (ხონი), **61 კგ:** ბექა ლომთაძე (ქუთაისი), **65 კგ:** ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი), **70 კგ:** ზურაბ იაკობიშვილი (ყვარელი), **74 კგ:** ავთანდილ კენჭაძე (ამბროლაური), **79 კგ:** დავით ხუციშვილი (საგარეჯო), **86 კგ:** სანდრო ამინაშვილი (თბილისი), **92 კგ:** დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), **97 კგ:** ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი), **125 კგ:** გენო პეტრიაშვილი (გორი).

**ლაშა დიდია**

◎ ჭადრაკი

# ხუთი ქართველი — მსოფლიოზე

**რუსული ხანტი-მანსიისკი წლეულს 3-იდან 25 ნოემბრის ჩათვლით ნოკაუტსისტემით მოჭადრაკე ქალთა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტიტულისთვის სხვადასხვა ქვეყნის 64 მანდილოსანი იბრძოლებს, მათ შორის — ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ცზიუ ვენძიუნი, რომელიც სტარტზე კატრინ ჰარდეგენს (ავსტრალია) დაუპირისპირდება.**



მსოფლიოს ჩემპიონატში სულ ექვსი რაუნდი გაიმართება. პირველ-მეხუთე ეტაპებზე მეტოქეები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ფინალში კი ოთხი პარტია გამოავლენს გამარჯვებულს. ექვსივე ეტაპზე პაექრობების ფრედ დამთავრების შემთხვევაში უძლიერესს ტაიბრეიკი დაასახელებს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ხუთმა ქართველმა დიდოსტატმა დაიმსახურა. პირველ რაუნდში ისინი ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: **ნანა ძაგნიძე**-იერისბელ მირანდა (კუბა), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი)-**სოფიკო ხუხაშვილი**, **ნინო ბაციაშვილი**-ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია), **ლელა ჯავახიშვილი**-ჩჟუ ჟინერი (ჩინეთი), **ბელა ხოტენაშვილი**-ვო თი კიმ ჰუნგი (ვიეტნამი).

მსოფლიოს ჩემპიონატი საზეიმოდ 2 ნოემბერს გაიხსნება, საათები კი 3 ნოემბერს ჩაირთვება.

**გივი გაგუა**

◎ ძიუდო

# პაპინაშვილი ბრინჯაოს პრიზიორია!

**საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი ჯაბა პაპინაშვილი (60 კგ.) ბაჰამის კუნძულებზე დაწყებული მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.**

ქართველმა ძიუდოისტმა მე-3 ადგილისთვის ორთაბრძოლაში ვაზარიზე 2-ჯერ დააგდო თურქი სამეტ კუმტასი, რომელსაც სეკუნდანტად საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ირაკლი უზნაძე ეჯდა.

პაპინაშვილი მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკელ ენტონი ბრეტთან შერკინებით ჩაერთო, რომელსაც ჯერ ვაზარი აჰკიდა, შემდეგ კი მე-3 შიდო მიაღებინა.

ჯაბამ იგივე დამართა არგენტინელ კარლოს მალდონადოსაც (თუმცა, ამ შემთხვევაში ვაზარით აგებდა), აზერბაიჯანელი კარამატ ჰუსეინოვი დამატებით დროში დააიპონა, რუმინელ ლუჩიან ბორს დუმიტრესკუს კი საქმე წუთზე ოდნავ მეტ დროში მოუთავა.

ქართველი ძიუდოისტის წარმატებული სვლა ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა — იაპონელმა გენკი კოგამ იპონით შეაჩერა, ბრინჯაოს შეხვედრაზე კი თავშივე მოგახსენეთ.

ამავე წონაში ძალები თემურ ნოზაძემაც სცადა და საწყის ორთაბრძოლაში კოლუმბიელი კრისტიან იბარბო დააიპონა, შემდეგ კი, მომავალ მესამეადგილოსან ბრაზილიელ რენან ტორესთან მარათონული შერკინება (ბრძოლა რვა წუთამდე გაგრძელდა) მე-3 გაფრთხილების გამო დათმო.




55 კგ-მდე წონით კატეგორიაში ვანო ხუბაშვილი პირველივე რაუნდში მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ — იაპონელ ჰაიატე ჰანდას გადაეყარა და იპონით დამარცხდა.

**გიორგი შოთაძე**

# თბილისის სავიზიტო ბარათი იმიჯს იცვლის

## ტელეანძაზე მოძრავი იატაკის მქონე რესტორანი, ლიფტები, ბარი, საკონფერენციო დარბაზი განთავსდება



**გადმოცემით, პარიზის ოკუპაციის დროს საფრანგეთის დედაქალაქში ჰიტლერის ჩასვლის წინ მწყობრიდან გამოვიდა ეიფელის კოშკის ყველა ლიფტი და ფიურერმა ბევრი მცდელობის მიუხედავად, „ზემოდან“ ვერ გადახედა პარიზს. როგორც კი გერმანულმა ჯარებმა პარიზი დატოვეს, ლიფტები საეჭვოდ სწრაფად ამუშავდა.**

**თუ პარიზისთვის სავიზიტო ბარათია ეიფელის კოშკი, თბილისის სავიზიტო ბარათად მიიჩნევა სატელევიზიო ანძა. საბჭოთა პერიოდში მთაწმინდაზე აგებული ეს უზარმაზარი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, 277 მეტრი სიმაღლის მქონე 440-ტონიანი ანძა მალე იმიჯს შეიცვლის.**

**თბილისის ტელეანძაზე მოძრავი იატაკის მქონე რესტორანი, ლიფტები, ბარი, საკონფერენციო დარბაზი განთავსდება.**

ახალ იდეას ჯერ არ გასჩენია კრიტიკოსები, თუმცა თბილისის ანძაზე განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება დედაქალაქის ყველა კუთხიდან ყველაზე კარგად ჩანს და პერიოდულად კითხვებსაც აჩენს მოსახლეობაში. ასე მოხდა მაშინ, როცა ჩვენი ანძა წითლად განათდა ჩინურ ახალ წელთან დაკავშირებით და ეს მაშინ, როცა ანძის საერთაშორისო სტანდარტული ფერები წითელი და თეთრია, რათა მფრინავმა ობიექტმა კარგად შეამჩნიოს. ასე იყო მაშინაც, როცა დედაქალაქის ანძა ცისარტყელას ფერებში განათდა და თბილისელებს აფიქრებინა, ხომ არ იყო ეს 17 მაისის აღსანიშნავად?! თუმცა მერიამ იმთავითვე დაგვამშვიდა და გაირკვა, რომ ცისარტყელას ფერები ლგბტ თემას კი არა, ნათურების ფერთა გამას უკავშირდებოდა.

ამჯერად თბილისის სატელევიზიო ანძაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის კონცეფცია ესტონურმა კომპანიამ „კოკო არქიტექტორებმა“ შეიმუშავა. ესკიზის მიხედვით, ანძის განვითარების ორი ვარიანტი არსებობს. ორივე ვარიანტით, ანძაზე ტურისტებისთვის სპეციალური სივრცე მოეწყობა.

**პირველი ვარიანტით, საუბარია ორსართულიანი სამკუთხედის ფორმის სივრცეზე, რომელიც აერთიანებს რესტორანს, ბარს, ტექნიკურ ოთახებს სატელევიზიო კოშკისთვის, ლაუნჯს, ტერასას და საკონფერენციო ოთახს. მეორე ვარიანტით კი, ანძაზე წრიული ფორმის სივრცე მოეწყობა, რომელიც, ასევე, ორსართულიანი იქნება და გააერთიანებს ბარს, რესტორანს, ლაუნჯს, საკონფერენციოს და ტექნიკურ ოთახებს. კონცეფციაში საპროექტო ტერიტორიის შესაძლო გაფართოებაზეცაა საუბარი, მათ შორის, სასტუმროს, ან სპა სასტუმროს მოწყობაც განიხილება. ასევე, ნავარაუდევია წრიული მოძრავი იატაკის მქონე რესტორნის მოწყობაც და ორი ლიფტის დამონტაჟებაც.**

თბილისის სატელევიზიო კოშკის განვითარებისა და ტურისტული ღირშესანიშნაობის მოწყობის კონცეფციის მოსამზადებლად ტენდერი შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ გამოაცხადა. შესყიდვების სავარაუდო ღირებულება 120 ათასი ლარი იყო, ტენდერში ესტონურმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელსაც პროექტის მომზადებაში 100 500 ლარი უნდა მიეღო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეტიკის“ ხელმძღვანელი **ამირან შენგელია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ რესტორანი, რომელიც ტრიალებს, არის ერევანშიც, ასეთივე რესტორანია მოსკოვშიც. თუმცა იქ ანძაზე არაა საუბარი. რაც შეეხება თბილისის ანძას, იქ ნამდვილად შეიძლება ასეთი სივრცეების მოწყობა. ამით დამატებითი შემოსავალი ექნება თბილისს, მაგრამ საკითხავია, ეს სივრცე ტურისტებისთვის რამდენად საინტერესო იქნება? მით უმეტეს, თბილისს იქიდან თუ გადმოვხედავთ, მხოლოდ ერთ მხარეს ჩანს ჩვენი დედაქალაქი, მეორე მხარეს კი ხეების მეტი არაფერია.

**„ცხადია, თავიდან ყველა ადამიანი ავა მთაწმინდაზე ანძის დასათვალიერებლად და, თუ ერთი ჭიქა ყავა ქვევით, „დედამიწაზე“ 3-5 ლარი ეღირება, იქ იქნება 10-15 ლარი. მოკლედ, „არც მიწისა ხარ, არც ცისა“ ვარიანტი იქნება. ეს უფრო ბიზნესიდეაა. ვიღაც, ალბათ, დაფიქრდა, ტურისტი რომ ჩამოვა, ამითაც დავაინტერესოთო. პირადად მე, თბილისელი კაცი, შეიძლება იქ იმ მიზნით ავიდე, რომ ვნახო, რა ხდება. თავის დროზე იქ რომ ეშმაკის ბორბალი დადგეს, იმაზეც ერთი ამბავი ატყდა, მაგრამ ის ბორბალი ვერტიკალურად ტრიალებდა და თბილისს უყურებდა ერთი მხრიდან, მეორე მხარეს არც ვიყურებოდით ბავშვობაში, რადგან იქით არც გვაინტერესებდა, რა ხდებოდა“,** — აცხადებს ამირან შენგელია.

ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს ეჯავრებოდა ეიფელის კოშკი, ამ დროს კი ყოველთვის სადილობდა ეიფელის კოშკზე მდებარე რესტორანში. ჟურნალისტებმა როცა ჰკითხეს, ეიფელის კოშკი არ გიყვართ, გეზარებათ მისი დანახვა და აქ რატომ სადილობთო, უპასუხა, მარტო აქედან არ ჩანს ეიფელის კოშკიო. თბილისის ანძიდან კი დავინახავთ, რამხელაზეა ჩვენი დედაქალაქი გაშლილი, ოღონდ, ეიფელისგან განსხვავებით, მხოლოდ წინა მხარეს დავინახავთ.



ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს ეჯავრებოდა ეიფელის კოშკი, ამ დროს კი ყოველთვის სადილობდა ეიფელის კოშკზე მდებარე რესტორანში. ჟურნალისტებმა როცა ჰკითხეს, ეიფელის კოშკი არ გიყვართ, გეზარებათ მისი დანახვა და აქ რატომ სადილობთო, უპასუხა, მარტო აქედან არ ჩანს ეიფელის კოშკიო. თბილისის ანძიდან კი დავინახავთ, რამხელაზეა ჩვენი დედაქალაქი გაშლილი, ოღონდ, ეიფელისგან განსხვავებით, მხოლოდ წინა მხარეს დავინახავთ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საპრეზიდენტო კანდიდატი **გელა ხუციშვილი** აცხადებს, რომ, რადგან თბილისის ანძა ჯერ არ არის მატერიალური კულტურის ძეგლი, ის ჩვეულებრივი რიგითი დანიშნულების მქონე ობიექტია. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იქ რას დაამონტაჟებენ და რა განთავსდება. მთავარია, რომ ტურიზმზე დაყრდნობით ქვეყნის განვითარება ვერ მიიღწევა.

**„საქართველო იყო ინდუსტრიული და არა ტურისტული ქვეყანა და ინდუსტრიის მხრივ გვაქვს ჩვენ უზარმაზარი პოტენციალი. სანამ ეს პოტენციალი არ ამოქმედდება, მანამდე სულ ასეთ დღეში ვიქნებით. ანძაზე რესტორანი და აბანოთუბანში რესტორანი ქვეყნის პრობლემას არ წყვეტს. ჩვენ ახლა ვიმყოფებით საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, როცა ქვეყნის ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი დაკარგულია. რაც შეეხება ძეგლის სტატუსს, ჯერ არ არის იმდენი წელი გასული, რომ ანძას ძეგლის სტატუსი მივანიჭოთ. ნეტავ, რასაც მივანიჭეთ ძეგლის სტატუსი, ის მაინც დავიცვათ“,** — აცხადებს გელა ხუციშვილი.

**მანანა ნოზაძე**

# „ფეიქები“ ნარკოტიკების ნაცვლად... ისე, ნდობის მოსაპოვებლად



**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყების მიერ მიმდინარე წლის მაისში, ე.წ „კლუბების საქმის“ გამოძიების ფარგლებში ბრალდებულის სახით დაკავებულ ქ.მ.-ისგან განხორციელდა 5 საკონტროლო შესყიდვა, საიდანაც 2 შესყიდვის შემთხვევაში მან ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“-ს რეალიზაცია განახორციელა, 3 შემთხვევაში კი შეძენილი იქნა არანარკოტიკული საშუალებები.**

მათივე ცნობით, ასევე, ბრალდებულის სახით დაკავებულ ლ.მ.-სგან განხორციელდა 2 საკონტროლო შესყიდვა, საიდანაც 1 შესყიდვის შემთხვევაში მან არანარკოტიკული ნივთიერება, ხოლო 1 შესყიდვის შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ გაყიდა.

**„რაც შეეხება ბრალდებულ ვ.ჟ-ს საგამოძიებო ღონისძიებების დროს მისგან განხორციელდა ორი საკონტროლო შესყიდვა და ჩატარებული ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ის ნარკოტიკულ საშუალების „მდმა“-ის რეალიზაციას ახორციელებდა. ასევე, ვ.ჟ.-ს პირადი ჩხრეკისას გამოძიების მიერ ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები.**

**საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორები „ახალ კლიენტებზე“ ასაღებენ ე.წ. „ფეიქებს“, — არანარკოტიკულ საშუალებებს, სანამ საბოლოო ნდობაში არ შევლენ მათთან“,** — აღნიშნავენ უწყებაში.

ცნობისთვის, „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული ვიქტორ ჟამუტაშვილისა და ქეთი მურუსიძის ადვოკატები აცხადებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფები ნარკოტიკულ საშუალებებს კი არა, „პარაცეტამოლს“ ასაღებდნენ. პროკურატურის ინფორმაციით, ადვოკატების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღების ფაქტზე დაკავებული პირები თითქოს ჰყიდდნენ „ციტრამონს“ და „პარაცეტამოლს“, არის ტყუილი და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

# პოლიციამ სოფელ ლამბალოდან გატაცებული გოგონა იპოვა



**კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს მკვიდრი 17 წლის ჰ.მ., ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარაში იპოვეს.**

შსს-ს ცნობით, არასრულწლოვნის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

**„ამ დროისთვის მასთან ფსიქოლოგი მუშაობს, რის შემდეგაც ფსიქოლოგის და ადვოკატის თანდასწრებით მოხდება მისი გამოკითხვა. გამოძიება გრძელდება და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ფაქტზე მონიტორინგს ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი“,** — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სახურავიდან მე-6 კლასის მოსწავლე გადმოვარდა

**თბილისში, პირველი ექსპერიმენტული სკოლის სახურავიდან მე-6 კლასის მოსწავლე გადმოვარდა. როგორც ირკვევა, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მოსწავლეები სათამაშოდ ვერანდაზე ავიდნენ, შემდეგ კი ერთ-ერთი მათგანი სახურავიდან გადმოვარდა.**



სკოლის დირექტორი მოსაწვლეებს შორის ჩხუბსა და დაპირისპირებას გამორიცხავს. მოზარდი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის ის საავადმყოფოში რჩება.

## ავტორის ბოდიში

# ნოემბერი კი არა, ზეგ, 21 ოქტომბერს!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გუშინ დასტამბულ ჩემს სტატიაში „ქათმის სიბრმავე“ გამეპარა ტექნიკური შეცდომა: თბილისში, შრომის სასახლეში ბატონ პაატა გიორგაძის მხარდამჭერი აქცია ნოემბერში კი არ გაიმართება, არამედ ზეგ, 21 ოქტომბერს!**

**ამ შეცდომის გამო მე, წერილის ავტორი,დიდ ბოდიშს ვუხდი აქციის ორგანიზატორებს, გაზეთის რედაქციასა და მკითხველებს.**

**ალექსანდრე შენგელია**



# ნავთობის ეპოქის დასასრული – ავტომობილი, რომელიც მარილიან წყალზე მუშაობს

**ევროპულმა კომპანია NanoFlowcell დაამზადა მსოფლიოში პირველი ელექტრომობილი, რომელიც მარილიანი წყლის ბაზაზე შექმნილ საწვავზე მუშაობს. ამჟამად დამზადებულია პირველი, საცდელი ნიმუში, თუმცა ქარხნულ წარმოებამდე ჯერ დიდი გზაა გასავლელი – იუწყება FB News Post.**

ამ ეტაპზე მანქანამ, სახელად Quant e-Sportlimousine უკვე მიიღო გერმანიაში ზოგადი დანიშნულების გზებზე გადაადგილების უფლება, თავად კომპანია კი გამოგონების მასშტაბური ცდებისთვის ემზადება. არსებული ინფორმაციით, რევოლუციური ავტომობილის სიჩქარე აღწევს ს 100 კმ. საათს 2,8 წამში, ხოლო ერთი საწვავი ელემენტი 600 კილომეტრზე ჰყოფნის.

ტერმინი „მარილიანი წყალი“ არ გულისხმობს ჩვეულებრივ მარილიან წყალს, რომელიც შეგვიძლია ავიღოთ ზღვაში – სპეციალურ რეაქტორში მზადდება სხვადასხვა ლითონის მარილების ხსნარი, რომელიც გამოიყენება როგორც ელექტროლიტი.

ამ საწვავ ელემენტებში ხდება რთული ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგადაც გამომუშავდება ელექტროობა. თავის მხრივ ის აკუმულირდება სპეციალურ კონდენსატორებში, საიდანაც მიეწოდება ოთხ ელექტროძრავს. კომპანიის ინჟინერის ნუნსიო ლა ვეჩიას თქმით, გზა საცდელი ნიმუშიდან სერიულ ავტომობილამდე ძალიან მძიმე და ხანგრძლივია. **ახალი ავტომობილი არის ეკოლოგიურად ძალიან სუფთა – მის შესაქმნელად არ გამოიყენება არც ძვირფასი ლითონები და არც იშვიათი ელემენტები – საწვავი ელემენტის მთავარი შემადგენელი ნაწილი არის წყალი, რომელშიც შედის ლითონების მარილები. ყველა კომპონენტის გამოყენება და უტილიზება შესაძლებელია გარემოსთვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე. უახლოეს პერიოდში კომპანია გეგმავს კიდევ 4 საცდელი ავტომობილის წარმოებას, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ცდების პროგრამაში. ამ პროგრამის მიზანია ტექნოლოგიის სრულყოფა კომერციული გამოყენების დონემდე.**

# ჟან-კლოდ ვან დამი 58 წლის გახდა

**ჰოლივუდში მოღვაწე ფლამანდიელი წარმომავლობის ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი, საბრძოლო სცენების დამდგმელი, Rodin Entertainment-ის დამფუძნებელი და მეთაური, წარსულში სახელოვანი კარატისტი, კულტურისტი და კიკბოქსიორი ჟან-კლოდ ვან დამი 1960 წლის 18 ოქტომბერს დაიბადა.**

1979 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი კარატესა და კიკბოქსინგში საშუალო წონით კატეგორიაში პროფესიონალთა შორის. აგრეთვე შავი ქამრის მფლობელია. თავისი საბრძოლო კარიერის განმავლობაში საერთო ჯამში ჩაატარა 22 ბრძოლა, რომელთაგან 20-ჯერ ხვდა წილად მოგება, ხოლო 2-ჯერ დამარცხდა.



მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფილმში, რომელთაგან წარმატებული აღმოჩნდა: „სისხლიანი სპორტი“ (1988), „კიქბოქსიორი“ (1989), „ორმაგი დარტყმა“ (1991), „უნივერსალური ჯარისკაცი“ (1992), „რთული სამიზნე“ (1993), „დროის პატრული“ (1994), „JCvD“ (2008), „შეუჩერებელნი 2“ (2012).

3-ჯერ იყო ზედიზედ ნომინირებული MTv Movie Awards-ის კინოპრემიაზე კატეგორიაში „ყველაზე სასურველი მამაკაცი“, – 1992, 1993 და 1994 წლებში.

## ფიქრთ გასართველად

# სხვადასხვან თქმული

**ყველაფერი** კარგი ოდესმე მთავრდება. ეს იქნებ კარგიც არის.

* * *

**ვარიკები** ცუდი ყოფაქცევის ქათმები არიან.

* * *

**პროპაგანდა** მსხვერპლის მოთხოვნის ხელოვნებაა, ოღონდ სხვათა მსხვერპლისა.

* * *

**ნუ** მისდევ დინებას, ნურც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ. იქით გაცურე, საითაც შენ გინდა.

* * *

**ტერორისტები** ბუნებრივი სიკვდილით უნდა დაიხოცონ – ტყვიისგან.

* * *

**მთვრის** გამოსაგლეჯადაც მზად არის, ოღონდ არც არაფერი არ აკეთოს.

* * *

**„შავი კვადრატის“** დახატვა ყველას შეუძლია, ხელოვნება ის არის, როგორმე გაყიდო.

* * *

**მთელი** სამეფოს გაცვლა ერთ ცხენში მხოლოდ ვირს შეუძლია.

* * *

**ისეთი** ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც რაც ახლოს გაიცნობ, თავი მით უფრო შორს უნდა დაიჭირო.

* * *

**ვთქვათ**, მუდმივი ძრავა გამოიგონე, აუცილებლად დაფიქრდი, რამდენ ადამიანს ტოვებ უმუშევრად.

* * *

**მოქალაქევ**, ღილები შეიკარით! მთელი შავი გული გიჩანთ!



# „პირში მზრახველი“ ბარ რაფაელი

**კატალონიის „ბარსელონას“ ქომაგობაში სულამომძვრალი ებრაელი მოდელი ბარ რაფაელი, ნამეტნავად წუხს მისი საყვარელი კლუბის ამჟამინდელ მდგომარეობაზე და დაუფარავად აცხადებს, რომ ამჟამინდელი „ბარსელონას“ მიერ ნაჩვენები ფეხბურთი არაა ის სანახაობა, რის გამოც თავის დროზე აღნიშნული კლუბის ქომაგობა დაიწყო.**

ბარ რაფაელის აზრით, “ბარსელონას“ ახლა აკლია ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი – ფეხბურთისადმი პოეტური მიდგომა, რაც ამ კლუბის მიერ მიღწეულ ტრადიციულად დიდ შედეგებზე მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც მწვრთნელი ფეხბურთელების მოტივირებას მუდმივად ახერხებს.

**მიუხედავად იმისა, რომ ბარ რაფაელი კატალონიური კლუბის მუდმივი და ერთგული ქომაგია, იგი არასოდეს გამოირჩეოდა საყვარელი გუნდის მხოლოდ ქება-დიდებით. რაფაელის მშვენიერ ბაგეებს „ბარსელონას“ კრიტიკაც არაერთხელ დასცდენია. ეს ალბათ მართლაც ის შემთხვევაა, როდესაც „მოყვარეს პირში უნდა უზრახო“.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:**

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაში:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული. ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6838; ევრო - 3.1022;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5265;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4713;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5834;
1000 სომხური დრამი - 5.5519.

**ამინდი 19 ოქტომბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +23 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +29 |
| თბილისი: | ღამე +15, | დღე +22 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge